პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. სამუშაო. მ., ბ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი. თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4. რედაქცია დღეში ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

110 ოთხშაბათი, 17 მაისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 17 მაისი 1922 წ. № 110

საქართველოს კ. პ. თ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

აცხადებს, რომ პარტიულ რაიონულ სკოლების გახსნა დანიშნულია შემდეგ დღეებში:

1) მე-2 და მე-4 რაიონის სკოლა: (რუსულ ენაზე) გაიხსნება 17 მაისს საღამოს 5 საათზე კირკასთან არსებულ სკოლის შენობაში, პლეხანოვის პროსპ. და კირკის ქუჩის კუთხე. სკოლის ლექტორი ამხ. **რუდაკოვი.** მეცადინეობა იქნება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღამოს 5—7 საათამდე.

2) მე-2 რაიონის სკოლა: (სომხურ ენაზე) გაიხსნება ხუთშაბათს, 18 მაისს, საღამოს 5 საათზე ახალი დროით, მე 3 რაიკომის შენობაში. სკოლის ლექტორი ამხ **თუმანოვი.** მეცადინეობა იწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 5—7 საათამდე.

3) მე-3 რაიონის სკოლა (რუსულ ენაზე) გაიხსნება პარასკევს 19 მაისს საღამოს 5 საათზე ახალი დროით მე 3 რაიკომის შენობაში. სკოლის ლექტორი ამხ. **ლიადოვსკისა.** მეცადინეობა იქნება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღამოს 5—7 საათამდე.

პირველ რაიონის სკოლის გახსნის შესახებ (ქართულ ენაზე) გამოცხადებული იქნება დამატებით.

ზემო აღნიშნულ სკოლის კურსანტებს და ლექტორებს წინადადება ეძლევათ დაიწყონ მეცადინეობა აღნიშნულ დროს.

საქართველოს კ. პ. თ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ესხენი.**

(2—1)

მენშევიკები და პროფკავშირები

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა პოლიტიკას აწარმოებდენ პროფკავშირებში მენშევიკები, როცა ისინი გაბატონებულნი იყვნენ საქართველოში. სიტყვით ისინი აცხადებდნენ პროფკავშირებს ნეიტრალურ ორგანიზაციებად, სინამდვილეში კი ცდილობდნენ მათ თავის პოლიტიკის ბრმა იარაღად გადაქცევას. ეს პოლიტიკა კი, როგორც ვიცით, მიმართული იყო ბურჟუაზიულ ურთიერთობის განმტკიცებისაკენ, და მენშევიკები მოითხოვდნენ კავშირებისაგან ექსპლოატატორების კლასთან შეთანხმების, შერიგების. კიდევ მეტი: მორჩილებას მისდამი, ვინაიდან ეს „შეთანხმება“ არსებითად სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არ კავშირების მიერ მუშათა კლასის ინტერესების დაცვაზე ხელის აღება, პროლეტარიატის უსაზღვრო ექსპლოატაციის დაკანონება. პროფკავშირებს არ მივეცნენ ყოველგვარ უფლებებს და რეალურ საშუალებებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და კერძო მეწარმეებელთა მიერ მეჩრმელ მასსების ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მათ მოთხოვნებს მუშათა მდგომარეობის ცოტათი მაინც გაუმჯობესების შესახებაც არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ, მათი საამისო წინადადებას უცერემონიოდ ასამარებდნენ მენშევიკურ პარტიულ ბიუროკრატიისაგან შემდგარი პროფ-კავშირების ცენტრალური საბჭო და მეწარმეებელთა ინტერესების აშკარა დამცველი „ცნობილი“ სატარიფო პალატა. და თუ ვინმე აღმოჩნდებოდა ისეთი „თავხედი“, რომელიც ნეიტრალურ და უფლებრივ მდგომარეობით უკიდურესად შევიწროებული და მოთმინებიდან გამოყვანილი, ხმას ამოიღებდა მჩაგვრელების წინააღმდეგ, ასეთებისათვის ყოველთვის მზათ იყო საგანგებო რაზმი, ცემა გვემა, საპყრობილეები, გადასახლება და სხვა უსასტიკესი რეპრესიები. მათი, როგორც საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ „მოლალატეების“ ასალგამავად დაშვებული იყო ყოველგვარი საშუალება, სასჯელი. ამის საიულისტრაციოდ მარტო თბილისის ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის ისტორია (1919 წ. აპრილში) რამდენ რამეს გვეუბნება! ეს მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც 3 4 თვე ისედაც მცირე ჯამაგირს არ აძლევდენ და რომელნიც საშინელ გაჭირვებას განიცდიდნენ, იძულებულნი იყვნენ მიემართათ უკანასკნელ საშუალებისათვის: შეეწყვიტათ მუშარბა, ვინაიდან პირდაპირ მშიერ-მწყურვალნ, ქანც გამოლეულთ ფიზიკური შესაძლებლობაც არ ჰქონდათ მუშაობის გაგრძელებისა. როგორ უპასუხა მენშევიკურმა მმართველობამ ამ დამშეულ ხალხს. ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებად გამოაცხადა, ადგილებიდან დაითხოვა სულ ყველა და ქუჩებში გამოყარა, ბევრი მათგანი რესპუბლიკის საზღვრებიდან გაძევა, ბევრსაც კიდევ საპატიმროებში აკრეფინა თავი. და რისთვის მერე? მხოლოდ იმისთვის, რომ მათ ლუკმა პური მოითხოვეს. და ასეთი შაგალითებით სავსეა მუშათა ბრძოლის ისტორია მენშევიკების დროს.

მაგრამ უნდა ითქვას, მუშათა კლასის შეგნებული, მოწინავე ნაწილი მაინც არ ტყდებოდა. ცალკე პროფკავშირები მაინც არ ნებდებოდნენ და განაგრძობდნენ ბრძოლას მშრომელ მასსის ინტერესებისათვის.

და ეს ბრძოლა პროფკავშირებისა მენშევიკების წინააღმდეგ იმავე დროს ნიშნავდა ბოლშევიკური გავლენის ზრდას კავშირებში, რომელნიც რწმუნდებოდნენ, რომ მხოლოდ ბოლშევიკები, კომუნისტები არიან პროლეტარიატის ინტერესების ჭეშმარიტი და ერთად ერთი დამცველნი. მთელი რიგი კავშირებისა,—როგორც, მბეჭდველების, მელითონენების, მეთამბაქოების, მეტყველების, ფარმაცევტების, ელექტრიკების და სხ, ბოლშევიკურ პლატფორმაზე დგებოდა, საზოგადო კრებებზე იღებდნენ ბოლშევიკების რეზოლიუციებს, გამგეობებში გადიოდნენ ბოლშევიკები და სხვა.

ეს გარემოება კი, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მიუღებელი იყო მენშევიკებისათვის, რომელნიც გრძობდენ, რომ პროფკავშირებში და საერთოდ მთელ მუშათა კლასში ნიადაგი ეცლებოდათ ფეხდან. ასეთი პროფკავშირების წინააღმდეგ მენშევიკები უფრო აძლიერებდნენ რეპრესიებს.

ერთი მხრივ ისინი აქუცმაცებდნენ კავშირებს, თავის მომხრე უცერემონის გამოყოფით და ცალკე კავშირების დაარსებით, მეორე მხრივ ბოლშევიკური შემადგენლობის კავშირებს შლიდნენ, მათში დეზორგანიზაცია შექონდათ, მათ გამგეობებს აპატიმრებდნენ და სხ.

ასეთი იყო მენშევიკების დამოკიდებულება „ნეიტრალურ და დამოუკიდებელ“ პროფორგანიზაციებისადმი ახლო წარსულში, როცა ისინი ძალაუფლებას ედგნენ სათავეში. აქ რაიმე ნეიტრალობაზე და დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მენშევიკები ცდილობდნენ გამოეყენებათ პროფკავშირები მუშათა კლასის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული წყობილების გასამაგრებლათ.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ნაირია მათი დამოკიდებულება პროფკავშირებისადმი დღეანდელ პირობებში, როცა მუშათა კლასი თვით განაგებს სახელმწიფოს. მენშევიკები ეხლა მოითხოვენ პროფკავშირების სრულ დამოუკიდებლობას, ვისგან?—მუშათა სახელმწიფოსაგან. მუშების დამოუკიდებლობა მუშათა სახელმწიფოსაგან, ე. ი. თავის თავისაგან, თვით მუშებისაგან, ეს ისეთი აბსურდია, რომლის წამოყენება მხოლოდ გზა დაბნეულ და პროლეტარიატის მოღალატე პარტიას შეუძლია.

ჩვენ გვესმის კავშირების დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს პირობებში. აქ ეს ორგანიზაციები მართლა უნდა იყვნენ დამოუკადებელნი ბურჟუაზიულ პოლიტიკის გავლენისაგან და აშკარა კლასობრივ ბრძოლის გზას ადგნენ. ასეთი დამოუკიდებლობა უაღრესად საჭირო იყო მენშევიკების დროს, რომელნიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენებდნენ. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ როგორ დევნიდნენ ისინი მაშინ პროფკავშირებს და დამოუკიდებელ მოქმედების ყოველ საშუალებას უსპობდნენ სწორედ ბურჟუაზიის სადიდებლათ და ინტერესებისათვის. ეხლა კი, როცა მუშათა სახელმწიფო და პროლეტარიატის ორგანიზაციები საერთო ძალღონით, შეჭიდროებული რიგებით ცდილობენ ქვეყნის სამეურნეო აღორძინებას და მშრომელი მასების მდგომარეობის გაუჯობესებას, მენშევიკები ლამობენ დაუპირდაპირონ პროფკავშირები მუშურ სახელმწიფოს და მუშათა კლასის მოწინავე რაზმს — კომუნისტურ პარტიას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული საკითხი

პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის ძირითადი ამოცანები

ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანაა აგიტაცია და პროპაგანდა. მუშაობა მასების რევოლიუციონურათ განათლებისათვის. ამ სამუშაოს ანხორციელებდა ორი ორგანო—პარტიის აგიტპროპი და პოლიტგანათლება.

პირველი უმთავრესად ანხორციელებს შინაგან პარტიულ მუშაობას—პოლიტგანათლება კი აგიტპროპის ხელმძღვანელობით აწარმოებს თავის პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას ფართე მასებში.

პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობის განმტკიცებისათვის, ძალთა და საჰსართა ეკონომიისათვის ეს ორი ორგანო დღეს ფაქტიურად გაერთიანებულია და მთელი სამუშავარი სწარმოებს კომუნისტური პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელობით. პოლიტიკურად განმანათლებელი აპარატი უნდა იყოს საკმაოდ მძლავრი და მოძრავი, რომ საქმე გაუკეთებდეს და მეთოდიურათაც ამაღლდეს. და ეს სამუშაო უნდა გადაბმული იყოს მთელ საბჭოთა აღმშენებლობასთან, განსაკუთრებით ქვეყნის ეკონომიურად აღდგენასთან.

ყოველ დონისძიებას თან უნდა სდევდეს პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობა.

პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის შინაარსია: საგიტაციო კამპანიები, სამხატვრო მუშაობა (თეატრები, ქორ-სამკითხველოები, კლუბები, სახალხო სახლები, საექსკურსიო-საგამოფენო საქმე, წერაკითხვის სკოლები, მე 2 საფეხურის სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, საბჭოთა პარტიული სკოლები).

ვითვალისწინებთ რა ძველ გამოცდილებას, ფინანსებს, ჩვენს ძალებს, ჩვენ გამოვყოფთ განსაკუთრებით დამკვრელ სამუშაოს, რასაც თანდათან გავაფართოებთ რეალურ პირობების მიხედვით.

აგიტაციის სფეროში ჩვენი მიზანია ჩატარება მორიგ კამპანიებისა, აგრეთვე აგიტაცია ძლიერ ქართული ლაშქრის შექმნისათვის.

შიმშილი თავისი ჩონჩხიანი ხელებით უკვე კარს უკაკუნებს საბჭოთა საქართველოს. დამშეული მაზრები შველას ელიან. აქტიური დახმარება საქართველოს დამშეულთ—ეი სერიოზული ამოცანა აგიტაციისა.

საბჭოთა ხელისუფლება ცუდად არის შეკავშირებული სოფელთან. პოლიტიკური მუშაობა სუსტად წარმოებს.

საჭირო გვქონდეს პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის დასაყრდნობი პუნქტები. ასეთი პუნქტებია ქორ სამკითხველოები. ამ ქსელის ორგანიზაცია ჩვენი მორიგი მიზანია. სამკითხველოები ყოველ შემთხვევაში მიიღებს ჩვენს გაზეთებს, წიგნებს და მთავრობის დეკრეტებს.

აგიტატორსა და ლექტორს შეძლება მიეცემა თუ სად შეჰყაროს ხალხი და გააცნოს მას მორიგი ამოცანები.

ასეთი ძლიერი მუშაობით, შეიძლება მოვახერხოთ კომუნისტური პროპაგანდისაგან ჯერ კიდევ ხელშეუხებელი გლეხთა მასსა.

კომუნისტური პარტიის წინაშე მთელი სიმწვავით დგას მშრომელ მასების განათლების საქმე.

მაგრამ არავითარ პოლიტიკურ განათლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, სანამ ჯერ კიდევ სუფევს უჯიცობა და უცოდინარობა.

ამ მტერს ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. წ. კ. უცოდინარობა საქართველოში დაახლოებით უდრის 65 პროცენტს. თითონ პარტიაშიც კი 24 პროცენტია უცოდინარების. წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია საფუძველია პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობისა.

ბოლოს მორიგი მიზანია კიდევ პარტიული სკოლების გახსნა. რომელთა საზოგადო მიზანია მიეცეს მსმენელებს მარქსისტული განათლება და პრაქტიკულ მოღვაწეობის მომზადება.

ცენტრალური საბჭოთა სკოლა იძლევა ღრმა ცოდნას ყოველ ცალკე დარგებში.

ესე პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობის მიზნებია: ხანგრძლივი აგიტაცია, ქორ-სამკითხველოების ქსელის გაბმა, საბჭოთა სკოლების ქსელი, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ყოველივე სამუშაო მოითხოვს მჭიდრო კავშირს საბჭოთა აღმშენებლობასთან, გაღრმავებას და კავშირის განმტკიცებას მოსახლეობასთან.

შემდეგში კი სრულიად სერიოზულად შეიძლება ყოველივე საქმეები ადგილობრივ სახსრებზე ვაწარმოოთ.

პოლიტგანათლება არის მოზრდილთა კომუნისტურ განათლების აპარატი. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებისას პოლიტგანათლების მუშაობას ფართე მნიშვნელობა ეძლევა.

კომუნისტურ პარტიამ ერთი წუთითაც არ უნდა დაასუსტოს თავისი ხელმძღვანელობა და კონტროლი. მან უნდა თავისი საუკეთესო ძალები გადააგზავნოს ამ ფრონტზე

მაშ ასე:—იდეოლოგიურ ფრონტის გამაგრებისათვის პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის წარმატებისათვის.

გ. ხაჭაპურიძე.

უცხოელის აზრი პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ მოსკოვში

ოგრედის*) დეპეშა ლონდონის გაზეთ „დეილი ჰერალდ“-ში.

მოსკოვმა დიდი ენტუზიაზმით იდღესასწაულა პირველი მაისი. დიდებული დღე იდგა. ადრე დილიდან საღამომდი მუშები ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან შეუწყვეტელი პროცესიებით იღებდნენ მონაწილეობას დღესასწაულში. წითელ მოედანზე ორმოცდაათიათასიანმა ჯარმა მოისმინა ამხ. ტროცკის სიტყვა და შეჰფიცა საბჭოთა კონსტიტუციას. ტროცკი თავის სიტყვაში ლაპარაკობდა გენუის შესახებ და იმ პირობებზე, რომლებიც უნდა ანტანტას მოახვიოს საბჭოთა რუსეთს სანამ ის მას იცნობდეს პოლიტიკურათ. მე ხაზს გაუსვამ, რომ ერთი პირობათაგანი არის რუსეთის მუშების დამონება კაპიტალიზმისათვის.

ფიცის მიღება ჯარის მიერ იყო საზეიმო აქტი, რომელმაც მოახდინა დიდი შთაბეჭდილება, რომელიც არასფერ თანამედროვეს არ შეიდრგება. წარმოდგენილი იყვნენ ყველა იარაღის ნაწილები ჯარში. ყველა კარგად არიან ჩაცმული, აქვთ ენერგიული გამომეტყველება მხედრის, ალსავსე არიან ენტუზიაზმით და უაღრესი ნაციონალური სულით და ყველასთვის, თვით მტრებისთვისაც აშკარაა, რომ კონტრევოლიუცია და ინტერვენცია ვერაფერს დააკლებს მათ, როგორც კარგათ გამოწვრთნილებს, დისციპლინით შედუღებულებს და ნაციონალური სულით გაჟღენთილებს. ასეთია არმია, რომელიც იცავს დღეს რუსეთს.

*) ოგრედი არის „ტრედუნიონების საერთაშორისო ფედერაციის ამსტერდამის ინტერნაციონალის“ მთავარი რწმუნებული რუსეთში შინშილობასთან საბრძოლველად დანიშნული, ის არის წევრი ინგლისის პარლამენტის

გენუის კონფერენცია

რუსეთის პროგლემა

პასუხი პაპის ნოტაზე.

გენუა. 15 მაისი. (იტალიის რადიო). რუსეთის დელეგაცია პაპის ნოტაზე თავის ოფიციალურ პასუხში აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის 1918 წლის 24 იანვრის დეკრეტით უზრუნველყოფილია სინიდისის თავისუფლება და კულტის თავისუფალი აღარება და აგრეთვე იმ შენობებითა და საგნებით სარგებლობაც, რაც აუცილებელია კულტისათვის. პიი მე XI 14 მაისს მიიღო მონსინიორი პიცირდო, რომელიც გენუიდან დაბრუნდა და პაპის მოხსენება გაუკეთა თავის მისიის შესახებ.

პარიზი. 15 მაისი. (ფრანგული რადიო). რუსეთის დელეგაციის ნოტა, პაპის მემორანდუმის საპასუხოდ, აღნიშნავს, რომ ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფვის დეკრეტით რუსეთში უზრუნველყოფილია სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლება

რევოლიუცია და ვალები.

ბორდო 15 მაისი (ფრანგული რადიო). პროფესორმა ოლარმა გამოაქვეყნა გაზეთებში ისტორიული ხასიათის განმარტება საფრანგეთის რევოლიუციისა და ვალების შესახებ. პროფესორი ოლარი ამტკიცებს, რომ საბუთად მოყვანა იმისა თითქოს საფრანგეთის რევოლიუციონურმა მთავრობამ, გააუქმა ვალები, უმეტეს შემთხვევაში სიმართლეს არიან მოკლებულნი. ამბობენ, თითქოს საფრანგეთის რევოლიუციამ, ნაციონალური კონვენტის დეკრეტის გამოცემით სცნო სუვერენული ერისათვის არა სავალდებულოთ ხელშეკრულებანი, რომელიც დასდვეს ჯალათებმა და იმ ვალების გადახდა, რომელიც აღებული ქონდა მეფეებს, რასაც აგრეთვე ემყარება ჩიჩერინი. პროფესორი ოლარი ამტკიცებს, რომ ეს შეცდომაა. ასეთ დეკრეტს, ის პროფესორი ოლარი არ იცნობს. პროფესორი ოლარი, პარიქთ ამტკიცებს, რომ 1793 წელს, ე. ი. დიდი რევოლიუციის ყველაზე ფეხრო ღირსშესანიშნავ დროს, საფრანგეთის მთავრობამ მთელი რიგი ზომებისა მიიღო, რომელიც მიმართული იყო მეფის ვალებს გადახდისაკენ „ვალების დიდი წიგნის“ მიხედვით და აგრეთვე საზოგადოებრივი—ვალდებულებათა ანაზღაურებისაკენ. პროფესორ ოლარს შეუძლებლად მიაჩნია გამოურკვეველ ისტორიულ ცნობების საბუთად მოყვანა პოლიტიკური მიზნებისათვის და პროტესტს აცხადებს იმ აზრის წინააღმდეგ, თითქოს საფრანგეთის რევოლიუციონერებს უარი ეთქვათ იმ ვალდებულებებზე, რომელიც ნაკისრი ქონდა მეფის ოჯახობას.

იტალია ფინეთის ხელშეკრულება.

გენუა, (იტალიის რადიო) გაზეთ „მესაჯერის“ კორესპონდენტი იტყობინება გენუიდან, რომ ამ უახლოეს ხანაში დადებულ იქნება ხელშეკრულება იტალიასა და ფინლანდიას შორის.

ბორის სავინკოვი.

გენუა, (იტალიის რადიო). მტკიცდება ცნობები იმის შესახებ, რომ პოლიციამ დააპატიმრა ბორის სავინკოვი, რომელიც მოქმედებდა კონსტანტინეპოლიდან ჩამოსულ რუსის ჟურნალისტის სახელოთ და რომელმაც სურვილი გამოსთქვა თავადაურეედევნებია რუსი ემიგრანტებისათვის.

რომი, 15 აპრილი (იტალიის რადიო) გენუის პოლიციამ დააპატიმრა ბორის სავინკოვი, რომელიც რუსის ჟურნალისტები კონსტანტინოპოლში ბრალს სდებენ ჯაშუშობაში.

აღმოსავლეთის პრობლემა.

ჰანოვერი 13 მაისი, (რადიო მოსკოვით). იტალიის გაზეთების ცნობით მომავალ კვირაში გენუაში შესდგება ინდეოეთის, სპარსეთის, ავღანისტანის ოსმალეთის არაბეთის, მესოპატამიის სირიის, ეგვიპტეს და აზიის სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა კონფერენცია. კონფერენციაზე განხილავენ აღმოსავლეთის პრობლემას ევროპის კონფერენციის პროლემებთან დაკავშირებით

იტალიის და პოლონეთის შეთანხმება.

გენუა. 12 მაისი, (რადიო მოსკოვი) დღეს გენუაში ხელი მოაწერეს იტალიის და პოლონეთის შეთანხმებას, რომლის მიზანია ორთავე სახელმწიფოთა შორის სავაჭრო დამოკიდებულების განვითარება. ეს შეთანხმება უზრუნველყოფს იტალიის გაჯანსაღების საქმეს.

მხოფლიო მუშათა კონგრესი.

მოსკოვი. 15 მაისი, (რადიო). გერმანიის მეუმრავლესე სოციალისტები არ იღებენ მონაწილეობას მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევაში და უარს ყოფენ ადლერის წინადადების ცხრათა კომისიის მოწვევის შესახებ „ფორვერტი“ იუწყება, რომ ბელგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმი მხარს უჭერს გერმანიის ესდეკების აზრს. ფრიდრიხ ადლერი, ვენის ინტერნაციონალის სახელოთ გაზეთ „რეიხეიტ“-ში სწერს, რომ მეორე ინტერნაციონალის ორგანიზაციულმა შეცდომებმა ამსტერდამის პროფკავშირთა გაერთიანების საქმეში გამოიწვია ცხრათა კომისიის მოწვევის გადადება, ვინაიდგან მეორე ინტერნაციონალს დღემდეც არ დაუნიშნავს თავისი წარმომადგენლები. ადლერის აზრით ცხრათა კომისიის დაფუძნებელი მოწვევა აუცილებლად საჭიროა.

კონფერენციის ლიკვიდაციის წინ

ბორდო 15 მაისი (ფრანგული რადიო). ჰავასის სააგენტოს ცნობით კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა წარმომადგენლები იხილავდენ კონფერენციის ლიკვიდაციის საკითხს. დადგენილ იქნა დაეარსებიათ მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოთა ექსპერტების კომისია, რომელსაც წინადადება მიეცემა განაგრძოს რუსეთის აღდგენის საკითხის განხილვა. კომისიის მუშაობის ადგილი და დრო (გამორკვეული იქნება გენუაში. როგორც სჩანს კომისია დაიწყებს მუშაობას გააგაში ამა წლის ივნისიდან. კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ წარდგენილი იქნება მოხსენებანი, რომელთა გაცნობის შემდეგაც დიდი სახელმწიფოანი გადასწყვეტენ, შეაძლებელია თუ არა მათთვის განაგრძონ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან. ფიქრობენ, რომ ყოველი სახელმწიფო დაიტოვებს თავისუფალ მოქმედების უფლებებს.

კონფერენციის დასასრული.

ნაუენი 15 მაისი (გერმანული რადიო) მიუხედავად მრავალგზის მტკიცებისა, რომ კონფერენცია საბოლოოდ იქნება დამთავრებული, შაბათს გამოირკვა, რომ კონფერენციის მუშაობა იქნება შეწყვეტილი. ბარტუმ განაცხადა, რომ საფრანგეთი იღებს რუსეთის წინადადების კომისიის მოწყობის შესახებ,—რომელშიც შევლენ 3 ექსპერტი, — რუსეთის საკითხის განხილვა ლვეულად. ბარტუმ ამასთან ერთად განაცხადა, რომ საფრანგეთის წარმომადგენლები მხოლოდ იმ პირობით მიიღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ კომისიის მუშაობაში თუ იქიდან გამორიცხული იქნებიან საბჭოთა დელეგატები. მეორეს მხრივ გამოირკვა, რომ საფრანგეთი წინააღმდეგი იქნება დაუშვა ექსპერტების კომისიაში რუსის ექსპერტები არა ბოლშევიკებიც. პუანკარე წინააღმდეგ იქნება დაუშვას ექსპერტების კომისიაში მონაწილეობა მიიღოს გერმანის ექსპერტებმაც და იგი აცხადებს, რომ კომისიის მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი თუ მაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკაც.

მოლაპარაკება უნაყოფოა.

გენუა. 15 მაისი (იტალიის რადიო). პოლიტიკურ ქვე კომისიაში ბარტუმ განაცხადა: რუსეთთან მოლაპარაკების გაგრძელება მას შემდეგ, რაც ხუთი კვირის განმავლობაში უსარგებლოთ მუშაობა სწარმოებს მათთან—უნაყოფოთ მიჩანია. შანცერის სიტყვის შემდეგ, რომელიც წინააღმდეგ აზრს იცავდა კაპანის გაგრძელება გადადებულ იქნა.

ამხ. იოფე გენუის კონფერენციის შესახებ

მოსკოვი 15 მაისი. (რადიო) ჟურნალისტებთან საუბარის დროს გენუაში მყოფმა რუსეთის დელეგაციის წევრმა იოფემ განაცხადა: „რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია გერმანიის ხალხის ყველა წრეებში. ერთად ერთი ჯაჭვი რომელიც ილაშქრებს ხელშეკრულების წინააღმდეგ, ეს არის შეიდამანელები, რომელთაც შეიაურობს „ფორვერტსი“, ეს გასაგებია, რადგანაც გერმანიის მეჩეშვიკებს, რომელიც ძლიერ მხდალები არიან, ყველაზედ უფრო ეშინიათ გაძლიანონ საფრანგეთის მთავრობა. გერმანიის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა მთელი რიგი გვარწმუნებდნენ ჩვენ, რომ ისინი სრულიად კმაყოფილნი არიან ხელშეკრულებით და მოუთმენლად ელიან მის საჩქაროდ ჯარის შემდეგ გაიარა პროცესიამ 40 წყებით. ხუთასმა ათასმა დემონსტრატმა გაიარა ცენტრალური პუნქტი, სადაც იდგნენ ტროცკი, კამენევი და პროფკავშირების ფედერაციის ცეკას წევრები. ეს გაგრძელდა საღამოს ექვს საათამდე, დაწყებული მეორის-ნახევრიდან. **ასეთ სანახაობას მე არ შევსწრებივარ ჯერ არც ლონდონში, არც კონტინენტზე და არც ამერიკაში.**

მე მთხოვენ, გადავსცე დიდი ბრიტანეთის მუშებს გულითადი ძმური მილოცვა პირველი მაისის გამო რუსეთ ძმებისაგან, რომლებიც მოხარული არიან, რომ სუსტდება კაპიტალისტური აბსოლუტიზმი და უახლოვდება საბოლოო კრახს მთელ მსოფლიოში.

ოგრედი.

მოსკოვი, 3 მაისი 1922 წ.

გენუაში ჩვენ

ბერლინიდან

ბერლინი 15 მაისი. (ბერლინის რადიო). ბერლინიდან ინფორმაციებს ავრცელებენ, ბერლინ-ვენა-ბუდაპეშტ-ბალკანეთ-ბოსფორ-ანკარა-ბაქო-ბერლინ. ეს ინფორმაციები ეხებიან ბერლინ-ანკარა-ბაქოს ხაზს

შეურიგებლობა

გენუა. 15 მაისი (იტალიის რადიო) საფრანგეთისა და ბელგიის კრების განწყობილება შეურიგებელია. პრესა მოითხოვს, გამოწვეულ იქნეს გენუიდან საფრანგეთისა და ბელგიის დელეგატები. ინგლისის პრესას შესაძლებლად მიაჩნია ახალი მოლაპარაკების გამართვა.

„გაუთვალისწინებელი“ ინციდენტები.

ნაუენი. 15 მაისი (გერმანული რადიო). გაზ. „დეილი ქრონიკელი“ იხილავს რა გენუაში შექმნილ მდგომარეობას სწერს: „კონფერენციის შედეგები უეჭველად ხელსაყრელი იქნებოდა, რომ მას წინ არ გადაღობებოდა გაუთვალისწინებელი ინცინდენტები. გაზეთი ამბობს, რომ ინგლისის წინადადება მიღებული რომ ყოფილიყო, მაშინ რუსეთის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ყოველ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მანამდის, სანამ საფრანგეთი არ გამოვიდოდა იმ გამოუსვლელ მდგომარეობიდან, რომელშიც იგი ჩაყენა პუანკარემ.

კონფერენციის გარშემო

კონფერენციის ბედ ილბალი

მოსკოვი 16 მაისი (რადიო) (დასაწყისი არ არის მიღებული). იაპონია ზოგიერთ საკითხებში ეთანხმება ინგლისსა და იტალიას, ზოგიერთში კი მხარს უჭერს საფრანგეთსა და ბელგიას. საფრანგეთის მხარეზეა მცირე ანტანტა და ზოგიერთი ნეიტრალური სახელმწიფონი. ამ ჟამად ლაპარაკია შემდეგი საკითხის გადაწყვეტაზე: უნდა შეწყდეს თუ არა მომავალ კვირაში კონფერენციის ნუშაობა, როგორც ეს სურს საფრანგეთსა და ბელგიას, თუ კონფერენციის დასრულებამდის უნდა გადაწყდეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხები.

გერმანიის პრესა რუსეთის საკითხის შესახებ.

ბერლინი. 11 მაისი (რადიო მოსკოვით). გერმანიის ბურჟუაზიული პრესა გაკვირვებითა და უკმაყოფილებით შეხვდა რუსეთის პასუხს. აღნიშნა რა მისი გადაჭრითი აგრესიული ხასიათი. მაგრამ გაზეთები ერთხმათ აღნიშნავენ იმას, რომ ნოტა არ შეიცავს მოლაპარაკების შეწყვეტის შესაძლებლობას და აძლევს საფრანგეთსაც კი საშვალებას ჩაშალოს კონფერენცია.

გაზეთი „დეიჩ-ტაგეციტუნგი“ აღნიშნავს, რომ ნოტა დაწერილია სრული შეგნებით და ნაკარნახევია მტკიცე ნებით. რუსეთი, როგორც სუვერენული სახელმწიფო ვალდებულებათა შორის შემთხვევაში ვერ დაუშვებს თავისუფლებათა შელახვას. საპასუხო ნოტა მთავარ მუხლებში:

როგორც მაგალითად კერძო საკუთრების, რუმინიასთან არსებულ განხეთქილების, პროპაგანდისა და უცხოელთა უპირატესობითი მდგომარეობის საკითხებში, იცავს საბჭოთა მთავრობის სუვერენულ უფლებებს, უპასუხებს ამაზე თითქმის აშკარა „უარი“ და კატეგორიულად მოითხოვს ყოველ საკითხში სამაგიეროს მიღებას და ნამდვილ თანასწორობას მოლაპარაკების მსურველ ხალხთა შორის.

ინგლისის პროექტი დროებითი ზავის შესახებ.

ლონდონი. 13 მაისი, (რადიო მოსკოვით). დღევანდელი გაზეთები აქვეყნებს პროექტს დროებითი ზავის შესახებ. გაზეთ „დეილი ქრონიკლ“-ის ცნობით ეს დროებითი ზავის პროექტი განსაზღვავდება საგარანტიო ხელშეკრულებიდან იმით, რომ იგი ითვალისწინებს უმთავრესად საომარ და არა პოლიტიკური ხასიათის პირობებს და ამასთან ანგარიშს უწევს არსებულ ფიქტიურ საზღვრებს. ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთის საკითხი გადაცემული იქნება სამი კომისიის განსახილველად, რომელნიც გაინაწილებენ ერთმანეთ შორის ვალებს, კრედიტების და კერძო საკუთრების საკითხს დამუშავებას, ჯერ არ არის გამორკვეული თუ როგორი პროპორციით მიიღებენ მონაწილეობას ამ კომისიებში რუსეთის და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, გამოურკვეველია აგრეთვე ადგილი კომისიების მუშაობისა.

ეხება რა ამ პროექტს, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იგი რუსეთის პასუხის ლოიალური დასკვნაა და ფაქტიურად ნიშნავს რუსეთის მოთხოვნილების მიღებას. გაზეთ „ვესტმინსტერ გაზეთის“ კორესპონდენტის აზრით ინგლისის პროექტი მოწმობს რუსეთის დაბრუნებას ევროპის ხალხთა ოჯახში. და ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერად აღვიაროთ.

მოლაპარაკების განგძობის შესაძლებლობა.

გენუა. 14 მაისი (იტალიის რადიო). კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა და აგრეთვე შვეიცის, შვეიცარიის, პოლონეთის და რუმინიის წარმომადგენლებს 13 მაისს ქონდათ თათბირი ფაქტას თავმჯდომარეობით. თათბირზე ირჩეოდა შექმნილი მდგომარეობა, რომელიც შედგება რუსეთის პასუხისა მოკავშირეთა 2 მაისის მემორანდუმზე. აზრთა გაცვლა გამოცვლიდან გამოირკვა, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, შესაძლებლად მიაჩნიათ თუ არა დელეგატებს განაგრძონ მოლაპარაკება რუსეთის დელეგაციასთან. სხდომა შეწყდა, იმისათვის, რომ ხელახლა მოიწვიონ იგი ნაუფდღევს და შეიმუშაონ შეთანხმების პირობები, დელეგატთა შორის კერძო მოლაპარაკებით ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ.

სახტიკი საიდუმლოებანი.

გენუა. 15 მაისი (იტალიის რადიო) გუშინ გამართა რუსეთის საკითხების შესახებ არსებულ კომისიის სხდომა. ლოიდ ჯორჯმა, რომელმაც დასასრულ წინადადება შეიტანა აოერჩიათ კომისია სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. ლოიდ ჯორჯის შემდეგ ილაპარაკა ბარტუმ, რომელმაც საერთოდ მხარი დაუჭირა ლოიდ ჯორჯის წინადადებას. რუსეთის საკითხის თათბიზე კომისიის დაარსების შესახებ, მაგრამ მოითხოვდა, რომ ამ კომისიაში არ ყოლოდათ წარმომადგენლები არც რუსეთისა და არც გერმანიას.

ბარტუს შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა შანცერმა, რომელმაც მიაქცია თათბირის დამსწრეთა ყურადღება რუსეთის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობას, რათა შესაძლებელი გახდეს ევროპის ეკონომიური აღდგენა. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა სასურველად სცნო კომისიის დაარსების წინადადება. მისი თვალსაზრისი უახლოვდება ინგლისის თვალსაზრისს ამ საკითხში. რუმინიის დელეგატმა შეიტანა შემარიგებელი წინადადება, და მოითხოვდა კერძო შემთხვევებში, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს დაშვებულ ყოფილიყო კომისიაში რუსეთის დელეგატები

„პროვოკატორული დოკუმენტი“.

პარიზი, 15 მაისი (ფრანგული რადიო). რუსეთის საკითხის შესახებ არსებულ კომისიის სხდომა გამართა შაბათს. ლოიდ ჯორჯმა, რომელიც იხილავდა რუსეთის საკითხს, უწოდა მას „პროვოკატორული დოკუმენტი“. ინგლისის პრემიერმა წიხადადება შეიტანა დაეარსებიათ ექსპერტთა კომისია, რომელიც დეტალურად განიხილავდა ვალებისა, კერძო საკუთრებისა და კრედიტების საკითხებს. ამ კომისიამ უნდა განიხილოს აგრეთვე საკითხი რუსეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის გენუაში წინასწარ ხელშეკრულების დადებისა და ურთიერთი ვალდებულებისა რათა აღწარმოონ სხვა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდა. ამ სხდომაზე ბარტუმ განაცხადა, რომ რუსეთის საპასუხო ნოტის ტონი ადასტურებს წარსული წლების გამოკვლევებს და შეეძლებლად ქმნის ბოლშევიკებთან მოლაპარაკების გაგრძელებას. ბარტუმ სხვათა შორის განაცხადა, რომ თუ ექსპერტების კომისიაში შევლენ საბჭოთა ექსპერტებიც, საფრანგეთი მაშინ მოკლებული იქნება შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა ხსენებულ კომისიაში. რუსეთის პასუხის კრიტიკით გამოვიდა აგრეთვე შანცერი, რომელმაც ამასთან აღნიშნა, რომ იგი მომზრეა განგრძობილ იქნეს დაწყებული საქმე

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში საქართველო.

აფხაზეთი.

სასადილოების მომარაგება. რადგანაც აფხაზეთის სასურსათო კომისარიატში შემოდიოდა მაზრებიდან ბევრი განცხადება სანოვაგის გაცემის შესახებ, სასურსათო კომისარიატმა დაგზავნა მოწერილობა, რომლის თანახმად ყველა სასადილოები, საჩაიეები და სხვა საკვები პუნქტები იხსნებიან სახელმწიფო მომარაგებიდან სასურსათო ორგანოების საშუალებით და უნდა შენახულ იქნენ ისინი ადგილობრივი სახსარით გამონაკლისს აქედან შეადგენს მხოლოდ სასადილოები როგორიც არიან საავადმყოფოების, თავშესაფარების, გამასწორებელი სახლების, საბავშვო სახლების და სხვ. შინაური ცხოვრების მოწესრიგება დაწესებულებებში, რომლებიც მოიხსნენ სახელმწიფო მარაგიდან, გადაეცემა კოოპერატივების გამგებლობაში, რომლებიც თითონ მოაწესრიგებენ სასადილოების სამუშაოს, და თავის წევრების ინტერესებთან შეფარდებით და სანიტარული, გიგიენური და ადმინისტრატიული წესების დაცვით.

თეხვის კამპანიის გარშემო. მიწადმოქმედების კომისარიატის სპეციალური კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ამ ჟამად აფხაზეთში განზრახულია სათესლე სივრცის გაფართოება, რის გამოც მიწის მონწესრიგებელმა ორგანოებმა დაარიგეს ყველა საფონდო მიწები, რომლებიც ჩამორთმეული იყო უმთავრესად მემამულეებზე და რომლებსაც მეტ ნაწილად ამუშავებენ მოსული ელემენტები. მკვიდრნი სოფლები, რომლებსაც ჰქონდათ ცოტა სანადელო მიწები და მიიღეს უმნიშვნელო რაოდენობა საფონდო მიწებისა, ჩაყენებული არიან მძიმე მდგომარეობაში. ამიტომ კომისია იძულებულია დაარიგოს გლეხობაზე დასათესად ის ტყეები, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ ღირებულებას. უკვე ამორჩეულია 1,000 დესიატინამდი ტყე, რომელიც შესაძლებელია გადაეცეს გლეხებს აფხაზეთის სატყეო მეურნეობის ზარალის მიუყენებლად.

მიწად-მოქმედების კომისარიატის მიერ ყველა მაზრებში გახსნილ სასოფლო სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტები, საიდანაც შეუძლიათ მცხოვრებლებს იარაღების წაღება განაზღვრული ნატურალური გადასახადით.

აჭარისტანი.

ბათომი 13 მაისი. (რადიო). ტრამვაი ბათომში. კომუნალურმა მეურნეობამ დაიწყო მოლაპარაკება უცხოელ კაპიტალისტებთან ბათომში ტრამვაის მოწყობის შესახებ.

სახალხო უნივერსიტეტი. 12 მაისს ბათომში ზეიმით გახსნეს სახალხო უნივერსიტეტი.

წითელ არმიელების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. წითელი არმიის მეცადინეობით გაყვანილია ელექტრონული განათება ყველა ყაზარმებში. სინათლე მიეცემა კერძო პირებსაც.

კომუნისტების მობილიზაცია. კომპარტიის წევრების მობილიზაციის გამო შესდგა საზეიმო სხდომა მობილიზაციით გაწვეულების პატივსაცემად.

ბეჭვდის დღისათვის. ბეჭვდის დღეს გაზეთების ტირაჟმა საგრძნობლად აიწია. ამ ჟამად მათი ტირაჟი აღემატება ბურჟუაზიულ და მენშევიკურ გამოცემებს.

სომხეთი

ერევანი. 12 მაისი (რადიო). **უცხო ქვეშევრდომთა რეგისტრაცია.** 12 მაისს სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარმა გამოაცხადა, რომ ყველა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომები, რომლებიც ცხოვრობენ საბჭოთა სომხეთის ტერიტორიაზე, ვალდებულნი არიან გატარდენ რეგისტრაციაში 15 მაისამდე. უცხო ქვეშევრდომი, რომელიც მოდის სომხეთში და ან მიემგზავრება სომხეთით, უნდა ჰქონდეს პასპორტზე საბჭოთა სომხეთის ოფიციალურ წარმომადგენლის ან სხვა საბჭოთა რესპუბლიკის ვიზა სომხეთში შემოსასვლელად, ურომლისოდ ის არ იქნება შემოშვებული რესპუბლიკის საზღვრებში.

განათლების კომისარიატში. მოსკოვიდან დაბრუნებულმა განათლების კომისარმა ამხ. მაკინციანმა ჩამოიტანა მოსკოვიდან 140 უთი ქონება ეჩმიაძინის ბიბლიოთეკიდან, რომელიც ინახებოდა იქ ომის დაწყებიდან. ამხ. მაკინციანის სიტყვით ამ დღეებში იქნება მიღებული ერევანში დონის ტნახიჩევნის სომხების მუზეუმის ქონება.

ხილის ბაღების გაჯანსაღება. მიწადმოქმედების კომისარიატის სასოფლო სამეურნეო განყოფილება აწყობს ადგილობრივად არტელებს ხილის ბაღების გასაჯანსაღებლად.

ერევანი. 13 მაისი (რადიო). **„ნაშა პრავდა“.** სომხეთის კომპარტიის ცეკას განკარგულებით შეწყდა გაზ. „ნაშა პრავდა“-ს გამოცემა.

ღორების მოშენება. სომხეთის ეკონომიური თათბირის დადგენილებით საჭიროდ იქნეს გამოიძებნოს სახსარი სომხეთში ღორების მოშენების განსავითარებლად ფართო მასშტაბით.

ბრძოლა ბანდიტიზმთან. ჯელალოღლში შემდგარია საგანგებო სამეფო ბანდიტიზმთან საბრძოლველად.

მხხვილი რქიან ხაქონლის ჭირი უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ვორონცოვკის რაიონში რქიანი საქონლის ჭირმა მიიღო ფართო ხასიათი იღებენ საჩქარო ზომებს ეპიდემიასთან ბრძოლის საწარმოებლად.

ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ არტელი „მილოვარი“. სახ. მეურ. უმ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა შრომის არტელ „მილოვარი“-ის წესდება, რომლის მიზანია მონაწილეობა პირადი შრომით აწარმოოს სარეცხი და სატუალეტო საპნის მზადება. არტელი შესდგება 7 კაცისაგან და დაიწყებს მუშაობას თბილისში.

◆ მუშათა ფაკულტეტი. ამ დღეებში შესდგა ცენტრ. სამმართველოს კოლეგიის გაფართოებული სხდომა ს. მ. უ. ს. განყოფილებათა წარმომადგენლებთან ერთად, რომელზედაც სხვათა შორის, მოსმენილ იქნა რიგი საკითხებისა მუშათა ფაკულტეტის შესახებ, რომლის შეფი არის ს. მ. უ. საბჭ., და რომლის შენახვას ყოველთვიურად სჭირდება 200 მილიონი მანეთი გაეცნო რა ფაკულტეტის დეკან ამხ. ბოროკოვის მოხსენებას, სხდომამ სცნო მუშათა ფაკულტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად, და დაადგინა აცნობოს ყველა განყოფილებათა, რომ მუშათა ფაკულტეტი, როგორც საარსებო საჭიროება ს. მ. უ. საბჭოსი, წარმოადგენს რა ისეთ ორგანოს, რომელიც ამზადებს წარმოების ყველა დარგებში კვალიფიციურ მუშებს, მას ხელი უნდა დაუჭირონ იმათ ყოველი ზომებით და საშუალებებით. შემდეგ დადგენილია წინადადება მიეცეს ს. ჰ. კ. ს. საკლუბო განყოფილებას გამოყოს ერთი კვირის განმავლობაში უფრო აქტიური ამხანაგები მუშათა ფაკულტეტში მისაღებად, როგორც ახალი სტუდენტების. ამ ამხანაგების ხნე არ უნდა იყოს 17 წელზე ნაკლები და მინიმალური მოზზადება. პირველ დაწყებითი სკოლების კურსი. მუშათა ფაკულტეტზე სწავლების საქმის ვითარებასთან სრული კონტაქტის და გაცნობისათვის, მუშ. ფაკულტეტის პრეზიდიუმი სთხოვს ს. მ. უ. ს. განყოფილებათა წარმომადგენლებს მაცადინეობაზე პირადად დასწრებას.

◆ მანევრები თბილისის გარემო მიდამოებში. 18, 19, 28 და 29 მაისს თბილისის გარემო მიდამოებში იწარმოებს ორი ორმხრივი მანევრები. პირველი მანევრი იქნება კრწანისის, ნავთლუღის, დიდ ლილოს და ორხევის რაიონებში, მეორე კი წყნეთის, საბურთალოს და დიღომის. მანევრების დროს იქნება სროლა ცარიელი ვაზნებით. ჯარის ნაწილები დაბანაკებული იქნებიან ღამის გასათევად აღნიშნულ რაიონებში.

◆ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში. კვირას, ა. წ. 21 მაისს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან (ბროსე, 4) გაიხსნება სტატისტიკური კაბინეთი, რომლის მიზანია სტატისტიკური მასალების თვალსაჩინო დემონსტრაციის საშვალებით ხელი შეუწყოს სტატისტიკურ ცოდნის გავრცელებას საზოგადოებაში, ერთის მხრით, და ცოცხალი სიტყვის (ლექციების, მოხსენებების და სხვა) საშვალებით ხელი შეუწყოს საქართველოს სტატისტიკურ-ეკონომიურ შესწავლას, მ ორე მხრით. კაბინეთი გახსნება პროფ. ს. ავალიანის მოხსენებით: „**ფულის ტრიალი საქართველოში**“. შესვლა საგანგებო ნებართვით, რომლის მიღება შეიძლება ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში ყოველ დღე 12—2 საათ. და კვირას, 5 საათიდან კაბინეთის გამგე ა. **გაგუასთან.**

თეატრი და ხელოვნება

— **ზაქარია ჭიპინაძის იუბილეი ხათვის. მოწოდება ქართველ ახალგაზრდობისადმი.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სამეფო მოუწოდებს ქართველ ახალგაზრდობას, დახმარება გაუწიოს საბჭოს — დ მსახურებული მწიგნობრის, ზაქარია ჭიპინაძის იუბილეის გამართვის საქმეში. იუბილეი იმართება სახ. ოპერის თეატრში, კვირას, მაისის 21-ს შუადღის 12 საათზე.

იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სურვილი აქვთ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში, ვთხოვთ მობრძანდნენ ხვალ, ოთხშაბათს, მაისის 17 ნაშუადღეის 5 საათზე, ხელოვანთა სასახლეში, სერგეევის ქუჩა № 13, ტეხნიკურ კომისიის თათბირზე

— **ეფემია მესხის იუბილეი.** ეფემია მესხის იუბილე, რომელიც უნდა გამართულიყო კვირას, 14 მაისს, გადადევა და გაიმართება შაბათს, 20 მაისს.

◆ წარმოდგენა „ჰამლეტი“. ვახტანგ გარრიკის წარმოდგენა „ჰამლეტი“ რომელიც გადადო მუშათა და წითელარმიელთა ტფ. ქალაქის სამეფოს პლენუმის სხდომის გამო, სახალხო სახლში დადგმული იქნება დღეს, ოთხშაბათს მაისის 17 ს. აღებული ბილეთები გამოდგება ამ წარმოდგენაზე.

— **ყოველდღიური სალიტერატურო ჟურნალი „ულელტეხილი“** 25 მაისს გამოვა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალის პირველი ნომერი „ულელტეხილი“ შემდეგი შინაარსით: 1) მანიფესტი. 2) წერილები. 3) რაჟდენ გეგეჭაძე, — „შვილო ქეთევან,“ „წიგნიდან ვირები“ — ვირების მარხილში, ვირის კბილი, ვირი და კინტო, „წიგნიდან კაპეტაი“ — ბრუნდი სარკ.“ 4) გრიგოლ ცეცხლაძე — ზარმაცი ტფილისელი, კაფეში, ბრინჯაოს ჩრდილები, ავტოპორტრეტი, ეკი ლიზმრები. 5) „ბიბლიოგრაფიანი“ ორი გაზეთი — „პოეზიის დღე“ ... თეატრი. 7) ქრონიკა.

◆ განათლების და ხელოვნების კავშირში. კვირას, 14 მაისს გაიმართა ფრიად საინტერესო მოხსენება ამხ. გეკვეიძის შემდეგ თემაზე: სახელოსნოების ორგანიზაციის ცდა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია

სხდომა პირველი

1922 წ., აპრილის 14 ს. სახელმწიფო ოპერის თეატრი.

საერთაშორისო მდგომარეობა*)

თ. კალანდაძე. ამავე საგნის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ მამია ორახელაშვილს.

მ. ორახელაშვილი. ამხანაგებო! ასზოგადოებრივი მეცნიერება გვასწავლის, რომ ყველაზე უფრო მტკიცე და მყვიდრი უფლება არის ის უფლება, რომელიც არის „მოპოვებული“, და არა ბუნებრივი. ამხ. ასეთი უფლებით მოსილი არის დღეს საბჭოთა ფედერაცია, რომელმაც დაიპყრო ბრძოლით და სისხლით გენუა. ჩვენ ვიცით, რომ ის საქმე, რომლის ქვეშ ჩუჩუნებს სიხალი, არის მტკიცე და საშვალშვილო. საბჭოთა ძალაუფლების საქმე, რომლის ქვეშ ჩუჩუნებს ოთხი წლის განმავლობაში განუწყვეტილი სიხალი, ეს საქმე სდგას მკვიდრ ნიადაგზე და გათავდება სრული გამარჯვებით.

თქვენ იცით, ამხ ნაგებო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა და სხვა საფეხური განვლო სანამ მიაღწევდა გენუას. ეს იყო შებრძოლება, ბრძოლა ინტერვენციის წინააღმდეგ, თავდასხმელების წინააღმდეგ, ცეცხლის ბლოკადის წინააღმდეგ. მაგრამ არ გასჭრა ქეხუმმა მახვილმა კონტრრევოლიუციისა. გასჭრა გამარჯვებულმა მშრომელი კლასის მახვილმა და ოთხი წლის ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ფედერაციის საზღვარი მტკიცედ მოხაზულია. ის არის შემოვლებული წითელი ხიშტების ჯაგრით, რომლის გადალახვა არ შეუძლია შეურიგებელ მტერს მშრომელთა დიქტატურისა. მაგრამ არ კმარა იარაღით გამარჯვება დღევანდელ პირობებში. ყოველი ძალა უფლება, სახელმწიფოებრივი სხეული, ყოველი ხალხი სულდგმულობს იმ ნიადაგით, რომელსაც ქვიან მეურნეობა, ეკონომიური ძალიერება, ეკონომიური დოვლათი. უმისოდ ვერც ერთი ძალა უფლება არამც თუ ვერ იარსებებს, ვერ იბოგინებს. ეს მეორე სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია, რომელიც დადგა საბჭოთა ძალა უფლების წინაშე. მაგრამ ეს მეორე საფეხური განვლილი არ არის, ამ საფეხურზე რუსეთმა შეადგა ფეხი გასულ ზაფხულში, გაარღვია ეკონომიური ბლოკადის რკალი და ის პოლიტიკური და სავაჭრო ხელშეკრულებები, რომელნიც მან დასდო სხვა და სხვა სახელმწიფოებთან, დაწყებული წვრილისახელმწიფოებიდან—ესტონია, ლატვია, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, ნაწილობრივ—გერმანია და იტალია, ალმოვალეთის ქვეყნები—ავგორა, სპარსეთი, აღანისტანი, ჩინეთი და სხვ—ყოველივე ეს იყო ეკონომიური ნატეხი დიდი პოლიტიკისა. მაგრამ არ იყო კიდევ გამარჯვება ამ ფრონტზე, არ იყო ფეხს მომაგრება იმ საჭურნეო ნიადაგზე, რომელიც შეადგენს ერთად ერთ მკვიდრ წერტილს ყოველ სახელმწიფოებრივ წყობილებისას, გენუა არის სწორეთ ანარეკელი იმ მდგომარეობისა, რომელშიც ჩავარდა ერთის მხრით რუსეთის ეკონომიკა, და მეორეს ხრით მსოფლიო ეკონომიკა. აქ არა აქვს ადგილი არც შერიგებას საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, არც კაპიტალისტურ ბლოკს. აქ არის ხალასი ანგარიში, შიშველი ინტერესი. თუ კი ლოიდ-ჯორჯი მეერის კეთილმოვანათ კაპიტალისტების იდეალზე, თუ მზად არის „ყაჩაღ“ ბოლშევიკებთან ერთად დაჯდეს დიპლომატიურ მაგიდის ირგვლივ, ეს არის შედეგი იმ უფსკრულისა, რომელიც გაიხსნა ბურჟუაზიის წინაშე და რომელიც უქადის მას ჩანქთას. ეს არის შედეგი იმ უძველეს კრიზისისა და იმ საერთაშორისო ომისა, რომლის ჯოჯოხეთი დაანთო ანტანტამ რუსეთის ირგვლივ. და ეხლა რუსეთმა გამარჯვებულმა პირველ, სისხლიან ფრონტზე ნიადაგი დაიმზადა მეორე საფეხურზე გადასვლისათვის. და ეს საფეხური უფრო მნიშვნელოვანი და სახიფათოა, იმიტომ რომ ის უფრო რთულია და არა ისეთი სადა და მარტივი, როგორც ბრძოლა სამხედრო ფრონტზე. ეს არის მონაპოვარი იმ ბრძოლისა, რომელსაც ეწეოდა რუსეთის მუშათა კლასი თავის წითელ ჯარის სახით უკვალავ ფრონტებზე.

რა შედეგს მოიტანს გენუა? მოგვცემს ეს კონფერენცია ძალთა წონასწორობას, თუ ეს დარჩება ისევე იდეალად? ყოველ შემთხვევაში ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ფურცელი გადიშალა და ის, რაც იყო დაწერილი ბურჟუაზიულ პოლიტიკოსების და მეცნიერების მიერ, ბურჟუაზიულ სარდლების მიერ, საბჭოთა ხელისუფლების დათრგუნვის შესახებ, ეს უკვე ეკუთვნის ისტორიას. ამიერიდან შეიარაღებული ინტერვენცია, თავდასხმით საბჭოთა ხელისუფლების დანგრევა, პროლეტარიატის დიქტატურის ტახტის დაჭხობა შეუძლებელია. ამიერიდან შესაძლებელია მხოლოდ მეორე საფრთხე. პროლეტარიატს ხელში ეჭირავს პოლიტიკური ძალა უფლება, მაგრამ მისი სამოქმედო და წინწამწევი ნიადაგი განტკიცებული არ არის სამუდამოთ, პროლეტარული ეკონომიკა წვრილბურჟუაზიული სტიქიონია გარემოცული,—აი აქ არის ჩამარხული მთავარი საფრთხე, მაგრამ ჩვენ გამოცდილებით ვიცით რომ ამ მხრივათაც საბჭოთა ხელისუფლების მეთაურები უკვე დახელოვნებულნი არიან, და თუ იყვნენ კარგი მებრძოლნი, ისეთები, რომ უკუაგდებდნენ ძველ გაკეთებულ, გაწვრთნილ გენერლებს რომანოვებისას, თუ პოლიტიკრრ სარბიელზე ბურჟუაზიის დიპლომატებს დაუპირდაპირდენ როგორც პირველხარისხოვანი დიპლომატები—ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ნიშნავს იმას, რომ იმ ფრონტებზედაც, სადაც წითელი ვაჭარი—„კრასნი კუპეც“—არის ერთგვარი ახლობელი იდეალი კომუნიზმისა, ამ როლშიც გამოვლენ წესიერად და მიაღწევენ იმ დასახულ ახლობელ მიზანს. ამიტომ—გენუა დამთავრდება შეუანხებით, ჩამოაგდებს დროებით მკვიდრ წონა-სწორობას თუ მოხდება გათიშვა—ჩვენ ვიცით, რომ გენუა არ არის მარტო ერთ-დროული მოვლენა, რომ ახლო მომავალში ბურჟუაზია—ლოიდ-ჯორჯი და იკივე შეურიგებელი პუანკარე, მათ შორის მეფუფუფუსე წვრილფეხა იმპერიალისტები—ძალულებულნი იქნებიან კიდევ გამოვიდნენ მეორე და მესამე ალაგას, სანამ არ ჩამოვარდება წონა სწორობა, ან ერთი ბანაკი არ ეკვეთება მეორეს—ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების ბანაკის დანგრევა. ეს ახალი ფრონტი საშიშია, ამიტომ ჩვენ სრულის იმედით უყურებთ როგორც ახლო ისე შორეულ მომავალს, დარწმუნებული ვართ, რომ ინტერვენცია უკვე წარსულის საქმეა, რომ დიდ სახელმწიფოებს არ ძალუძთ ინტერვენციის ალში გახვევონ საბჭოთა ქვეყნები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სანტერვენციო სულის კვეთება შეუძლებელია.

ახსნა-გებო, ჩვენ ვიცით, რომ იქ, პოლიტიკის დიდ შარაგზის გადაღმა ფუფუფობენ პოლიტიკური ყაჩაღები ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ, აგრეთვე ისინიც ვისაც ჩვენ უწოდებთ სოციალ შემთანხმებლებს, სოციალ-გამყოფველებს. ამ როლში დღეს ჩვენ ვხედავთ მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, რომელნიც გამყიდველობის სამარცხვინო კომპანიას, ამ გამცემლობის სამარცხვინო როლს ასრულებენენ გამუდმებით და მუდამ აღტაცებით, აბის შედეგია ის გაფთრებული აგიტაცია, ის ენერგიული კომპანია რომელსაც მეორე ინტერნაციონალის გმირები და მათ შორის არ ვიტყვი უარესი, პირიქით ერთი საუკეთესო წევრთაგანი, როგორც არიან ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე და სხვ. ამხანაგებო, ეს ბანაკი დღეს ღაღადებს დემოკრატიულ პრინციპებზე, ისინი ვითომ თაყვანს სცემენ დემოკრატიზმის ხატს, ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, და მოგვიხოვენ გავიყვანოთ წითელი ჯარი საქართველოდან, ეს იქნება თვით გამორკვევა ხალხისაო. სათანადო რეზოლიუციით მიმართავენ როგორც ჟორდანიას, ისე ლოიდ-ჯორჯს. საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანა ეს იქნება განიარაღება რევოლიუციისა საბჭოთა ხელისუფლების მიერ იარაღის დაყრა. მსოფლიო მოედანზე დღეს არ არის სხვა ძალა გარდა ბურჟუაზიულ ძალისა და მუშურ-გლეხური წითელი ჯარისა. მესამე ძალა არ არსებობს. რად სურთ შემოსვლა მეორე ინტერნაციონალს და აგრეთვე ლოიდ-ჯორჯს და პუანკარეს? მათ სურთ საქართველოში შემოსვლა არა ქართველი მუშების და გლეხების „განსათავისუფლებლად“ არამედ როგორც ეს ამბ, ტროცკემ სთქვა საქართველოს განსათავისუფლებლად ამიერ კავკასიის მშრომელების ჭიათურის შავი ქვისაგან, აზერბეჯანის ნავთისაგან, რომელიც ამიერ კავკასიის ხალხების ბანაკის ხელში ეჭირავთ. ეს ბანაკი ამ ქადაგებს, აი რას შეიცავს მათი მიზანი: გაიყვანეთ წითელი ჯარი, დამცველი მშრომელი ხალხისა, რომ მოვიდეს მათ მაგივრად იმპერიალისტური ჯარი! სხვანაირი შეფასება ამ ლოზუნგისა შეუძლებელია ჩვენ ვიცით წარსულიდან. როდესაც აქ იყო ანტანტის ჯარი და როდესაც წითელმა ჯარმა უკუ აქცია დენიკინი და მოადგა კავკასიის ქედს, ინგლისის მეფის ჯარმა ბარგი აიკრა, ჯორჯის ყარი აღარ უგდო, აქ დასტოვა და გასაქცევად ბათუმისაკენ გასწია; თქვენ იცით რომ მენშევიკების მთავრობა თანახმად აზერბეჯანის მუსავატ ელემენტისა, ერევნელ დაშნაკელების სურვილისა მუსლმანურ ეკლესიებიდან ინგლისის გენერლებს, რომ მათ აქედან ჯარი არ გაეყვანათ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ მენშევიკებისათვის ანტანტის ჯარი მისაღები იყო, ხოლო მუშებისაგან შემდგარი წითელი ჯარი, რომელიც არა მტრობის არამედ სულ სხვა იდეების, სულ სხვა პრაქტიკული მიზნის მატარებელი არის, აი ეს ჯარი შემმუსვრელი მყულეფელების მიუღებელია მათთვის, რომლებიც მოგვიწოდებენ დემოკრატიზმის წინ დაიჩოქებლად და თაყვანის საცემლად ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ჰენდერსონმა მოგვმართა ჩვენ წინადადებით; რომ აქ მოსულიყო საკონტროლო კომისია ინტერნაციონალებისა, და გამოერკვიათ თუ რა ფორმა ემართველობისა სურს ქართველ ხალხს. ჩვენ ამაზე ვუხასუხეთ, რო რასაკვირველია დემოკრატიზმის მოთხოვნილებანი და ხალხის თვითგამორკვევის მოთხოვნილება არის ძირითადი პრინციპი ჩვენი მოქმედებისა მაგრამ თუ ჰენდერსონი გამოდის ამ როლში და თუ ის არის ნამდვილი დემოკრატი, რატომ არ გახსენა ეს პრინციპი დემოკრატიზმისა, როდესაც აქ იყო ანტანტის ჯარი, როდესაც აქ იყო გამეფებული გერმანიის ლეტენანტები, რომელნიც ერეოდნენ საქართველოს მთავრობის პოლიტიკაში, ამათ ილებდენ მის სასურსათო პოლიტიკას, ერეოდენ მიწის საკითხის გადაჭრაში და მხარს უჭერდენ გორის ფეოდალებს. რატომ მაშინ არ გაიხსნეს ეს პრინციპი? მაგრამ ვთქვათ მაშინ დაავიწყდათ, დღეს გაიხსენეს, როდესაც საქართველოში შემოვიდა წითელი ჯარი იგივე მუშა-გლეხების ჯარისკაცის მაზარაში. ჩვენ

შრომის სკამაში". მომხსენებელმა გაუზიარა აუდიტორიას შთაბეჭდილებანი თავის ერთი წლის მუშაობის ცდიდან მეორე საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში. იქვე მოწაფეები აძლევდნენ მსურველთა საჭირო განმარტებას მათ მიერ ერთი წლის განმავლობაში გაკეთებულ ნივთების შესახებ.

— **სახალხო მომღერალ მგალობელთა გუნდი.** სახალხო მომღერალ მგალობელთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს მ. ხეინელ კავსაძე ამ მოკლე ხანში გამართავს სახალხო კონცერტებს ტფილისის თეატრებში; ამის შემდეგ გუნდს განზრახვა აქვს მოიაროს დასავლეთი საქართველო და ჯხეთი.

— **სიმღერის კურსები** გახსნილია სახალხო სიმღერა-გალობის კურსები მიხეილ კავსაძისა, მუშათა სასახლე (ბროფ. კავშ.) მე 5-ე სართული ოთხშ. ხუთშ. და პარასკ. საღ. 6 ნახ—8 ს.

— **მსახიობ ქალის როსტომაშვილის საღამო.** ხუთშაბათს, 18 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ ქალის როსტომაშვილის საღამო. წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის პიესა სამეგრელოს ცხოვრებიდ ნ „გიგიჭკორი". მონაწილეობენ: როსტომაშვილი, შალვა დადიანი, ვ. გამყრელიძე, ელენა ანდრონიკაშვილი, აკაკი ვასაძე და სხ.

— **დონაურის საღამო.** რუსთაველის თეატრში, 23 მაისს გაიმართება მსახიობ ქალის დონაურის საღამო. წარმოდგენილი იქნება „ჰიოლა."

ლიტერატურული ხუთშაბათი. გაზაფხულის არდადეგების გამო ლიტერატურული ხუთშაბათები გაიმართება პირველ ივნისიდან.

— **ხალამო ნაძალადევის თეატრში.** კვირას, 21 მაისს, ნაძალადევის თეატრში გაიმართება სალიტერატურო საღამო, მსახიობ-გასო აბაშიძის, მომღერალ სარაჯიშვილის, ინაშვილის და ი. გრიშაშვილის მონაწილეობით.

— **ქართველ მსახიობთა ყრილობა.** კვირას, 7 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიხსნა სრულიად საქართველოს ქართველ მსახიობთა ყრილობა, რომელსაც დაესწრენ, როგორც თფილისში მყოფნი, ისე პროვინციებიდან ჩამოსული მსახიობნი. ყრილობა გახსნა ალექსანდრე იმედაშვილმა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თამარ დმარეთ ვალ. გუნია, კ. ანდრონიკაშვილი და ალ. მგალობლიშვილი. ყრილობა ფეხზე ადგომით პატივსა სცემს ვლ. მეხიშვილის, ს. სვიმონიძის, კ. ყიფიანის, ბ. ახოსპირელის და კ. ზათირიშვილის ხსოვნას. ქართველ მსახიობის და ჩვენი თეატრის მდგომარეობაზა მოხსენებით გამოდიან ალ. ახმეტელი და ალ. იმედაშვილი. წესდების გადასინჯვის შემდეგ მიღებულ და დამტკიცებულ იქნა ახალი წევრები. შემდეგ მოხდა კავშირის გამგეობის არჩევნები. არჩეულ იქნა: ალ. იმედაშვილი (თავ), ალ. მგალობლიშვილი, ალ. ბადრიძე, აკაკი ფალავა, ვ. ჯიქია და აკაკი ვასაძე. სარევიზორო კომისიის წევრებად: დ. ჩხეიძე, ს. ახვლედიანი და სან. გაჩეჩილაძე.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოში

გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მოღვაწეობის საკითხი

12 მაისს შესდგა საკავშირო საბჭოს ეროვნებათა პალატის ხელმძღვანელობის დასწრეს: ამხ. ამხ. **მიასნიკოვი, იაკუბოვი, სვანიძე, კარაევი, რუსანოვი, ტალიბელი, შუშკოვი, ყამარაული, გაჯინსკი, თემურ ალიევი, ატარბეკოვი, მიქაძე, გინზბურგი** და სხ.

დღეს წესრიგში დასმულია საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მოღვაწეობის საკითხი და მის მუშაობასთან დაკავშირებულნი ზოგიერთი პრაკტიკული საკითხები. გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა აღნიშნულ კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხანაგმა თემურ ალიევმა. მოხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი თვალსაჩინო მაგალითები და აღნიშნა, რომ თავის წინანდელ მოქმედებაში საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გაცილებით ვერ გაართვა თავი მის წინაშე წამოყენებულ ამოცანებს.

ნედლეულის ექსპორტის დარგში საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მუშაობა უნდა იქნას ცნობილი არა დამაკმაყოფილებელ ად; მაშინ როცა ამიერკავკასიის საკავშირო რესპუბლიკების ძირითადი ფონდი შეადგენს

საქართველოს სამეურნეო სიმდიდრისა. მისი მეღვინეობის, კახური ღვინო კი მაშინ ითვლებოდა საექსპორტო საგნად. მათ ინახულეს ჭიათურა, სადაც არის შავი ქვა, უკეთ რომ ვიქვათ შავი ოქრო, რომელიც ესაჭიროებათ დასავლეთ ევროპის მრეწველებს, და რის დატორვა მათ არ გებდათ. იქ გახლდათ ვანდერველდე, დე ბრიუკერი, რომლებმაც გამართეს ჩურჩული ექსპორტორებთან. ვანდერველდეს პროტექციით ერთს ექსპორტიორს გვარად მგონი იყო მიუსლი, საქმეების მოკვარახტინება სურდა. ეს დელეგაცია გახლდათ აზბეგეში, არა იმისთვის რომ ენახათ რა არი ამიან მთის შვილები, ან დამტკბარიყვნენ ყვინვარის სილამაზით, არამედ იმისათვის რომ გეგმით საუღელტეხილო რკინის გზის პირველი სადაური იქუნდა ყოფილიყო. ინახულეს ბორჯომი და სხვა ადგილები და რაიონები, სადაც კაპიტალის ფრთების გასაშლელათ ხელსაყრელი პირობები. თუ წინეთ კაპიტალისტები ახალ კოლონიებში აგზავნიდნენ მისიონერებს, ბერებს, თან მიაყოლებდნენ ვაჭრებს არყის ბოთლებით ხელში და სიფილისით, დღეს საერთაშორისო იმპერიალიზმი მათ მაგივრად, გზის „იდეოლოგიურათ" გასაკაფავად აგზავნის მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებს! აი ამხანაგები მათი ნამდვილი როლი. ჩვენი მიზანია რომ მათი ნამდვილი სახე ფართო მუშათა წრეებში გამოვაშკარავოთ. მთელი ამალა რომელიც ბურჟუაზიისა და მეორე ინტერნაციონალის გარშემო არის მოკალათებული შეიძლება შეეცადოს ამიერ-კავკასიაში დესანტის გადმოსხმას, შეიძლება შეეცადოს თავდასხმას. ამას ჩვენ უნდა ველოდეთ. ამაზე ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მტრების შავი ზრახვანი ჩვენ ვიცით, ჩვენ ხელთ გვაქვს მათი გეგმები. ჩვენ ამას ვუწევთ ანგარიშს და ვეებულობთ სათანადო ზომებს. თქვენ გეცოდინებათ რომ ჩვენ მოვახდინეთ მობილიზაცია და სამი ათასი კომუნისტი მიუმატეთ ჩვენ ჯარს: ოქრომი 12 მილიონ მანეთის საქონელს, გასულ წლის განმავლობაში კომისარიატმა გაზიდა ხელოლ 448 ათასი ოქროს მანეთის საქონელი. იყო შემთხვევები, როცა საექსპორტოდ გამზადებული საქონელი ეწყო საწყობებში უცხოეთის ბაზარზე გაზიდვის მაგივრად.

ასე, მაგალითად, გაერთიანებულმა საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო აზერბეჯანიდან 1.322 ფუთი საუკეთესო ხარისხის, უმთავრესად სპარსული ნოხები, მხოლოდ ერთი თვის წინად ამ რაოდენობიდან 172 ფუთი გაიგზავნა იტალიაში, ხოლო დანარჩენი ნოხები უკვე წელიწადია რაც აწყვია საწყობებში ბათომში და ფუჭდება სინესტისაგან. საქართველოს სასურსათო კომისარიატისაგან წარსულ წელს მიღებული ბეწვეული და კრავეული სულ ბოლო დრომდე ეყარა გაერთიანებულ ვაჭრობის კომისარიატის საწყობებში.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წინანდელი მუშაობის ძირითად შეცდომად მომხსენებელს მიაჩნია დაუშვებელი უყურადღებო, დამოკიდებულება კომისარიატისა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ნედლეულის მარაგის

საქართველოს სამეურნეო სიმდიდრისა. მისი მეღვინეობის, კახური ღვინო კი მაშინ ითვლებოდა საექსპორტო საგნად. მათ ინახულეს ჭიათურა, სადაც არის შავი ქვა, უკეთ რომ ვიქვათ შავი ოქრო, რომელიც ესაჭიროებათ დასავლეთ ევროპის მრეწველებს, და რის დატორვა მათ არ გებდათ. იქ გახლდათ ვანდერველდე, დე ბრიუკერი, რომლებმაც გამართეს ჩურჩული ექსპორტორებთან. ვანდერველდეს პროტექციით ერთს ექსპორტიორს გვარად მგონი იყო მიუსლი, საქმეების მოკვარახტინება სურდა. ეს დელეგაცია გახლდათ აზბეგეში, არა იმისთვის რომ ენახათ რა არი ამიან მთის შვილები, ან დამტკბარიყვნენ ყვინვარის სილამაზით, არამედ იმისათვის რომ გეგმით საუღელტეხილო რკინის გზის პირველი სადაური იქუნდა ყოფილიყო. ინახულეს ბორჯომი და სხვა ადგილები და რაიონები, სადაც კაპიტალის ფრთების გასაშლელათ ხელსაყრელი პირობები. თუ წინეთ კაპიტალისტები ახალ კოლონიებში აგზავნიდნენ მისიონერებს, ბერებს, თან მიაყოლებდნენ ვაჭრებს არყის ბოთლებით ხელში და სიფილისით, დღეს საერთაშორისო იმპერიალიზმი მათ მაგივრად, გზის „იდეოლოგიურათ" გასაკაფავად აგზავნის მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებს! აი ამხანაგები მათი ნამდვილი როლი. ჩვენი მიზანია რომ მათი ნამდვილი სახე ფართო მუშათა წრეებში გამოვაშკარავოთ. მთელი ამალა რომელიც ბურჟუაზიისა და მეორე ინტერნაციონალის გარშემო არის მოკალათებული შეიძლება შეეცადოს ამიერ-კავკასიაში დესანტის გადმოსხმას, შეიძლება შეეცადოს თავდასხმას. ამას ჩვენ უნდა ველოდეთ. ამაზე ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მტრების შავი ზრახვანი ჩვენ ვიცით, ჩვენ ხელთ გვაქვს მათი გეგმები. ჩვენ ამას ვუწევთ ანგარიშს და ვეებულობთ სათანადო ზომებს. თქვენ გეცოდინებათ რომ ჩვენ მოვახდინეთ მობილიზაცია და სამი ათასი კომუნისტი მიუმატეთ ჩვენ ჯარს:

ექსპორტისადმი. კომისარიატი მიისწრაფებოდა უცხოეთის ბაზრისკენ, ისე რომ ყურადღებას არ აქცევდა შინაურ ბაზარს; ამის შედეგი კი ის იყო, რომ რესპუბლიკების ნედლეული რომელიც უნდა გაზიდულიყო ბაზარზე, ან ეყარა საწყობებში, ან გადადიოდა კერძო ვაჭრების ხელში. ემყარებოდა რა თავის საიმპერატორო ოპერაციებში თავის განკარგულებაში მყოფ ოქროს მარაგს, კომისარიატი ზოგჯერ ხარჯავდა მას ისე, რომ საკმაო ყურადღებას არ აქცევდა რესპუბლიკების მოთხოვნილებებს, ყიდულობდა რა ოქროზე ან ნაკლებად გამოსადეგ საქონელს, ან ცუდი ღირსების საქონელს. შესყიდული იყო, მაგალითად, ქინაქინი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ კირი აღმოჩნდა, ყიდულობდნენ თევზის საჭერ ბადეებს, რომელიც შემდეგ გაფუჭებული აღმოჩნდებოდა, იძენდნენ გეტრებს, რომელიც არავის არ ესაჭიროება და სხ. რომ შევადაროთ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მოქმედება სათანადო კოოპერაციაც ან კერძო ორგანიზაციების მუშაობას, უნდა ვაღიაროთ, რომ კომისარიატმა გააკეთა იმ მუშაობის არა უმეტეს 3 პროცენტისა, რომელიც შეასრულეს სხვა ორგანიზაციებმა.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობის ძირითად ორგანიზაციულ მიზეზად მომხსენებელი თვლის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მოქმედების არევას ცენტროკავშირისა და სხვა დაწესებულებების მოქმედებასთან. გაერთიანებულ საგარეო ვაჭრ. კომისარიატს შეცდომით უყურებდენ არა როგორც დამოუკიდებელ კომერციულ აპარატს, არამედ როგორც ფირმას სხვა დაწესებულებების დავალებათა ასასრულებლად.

მომხსენებელი მოყავს მთელი რიგი მაგალითები კომისარიატის მუშაობის აღრევისა სხვა დაწესებულების მუშაობასთან, რის შედეგად იქნა ბოდა ქაოსი ანგარიშში, აპარატს გაბერვა (კომისარიატის ზოგიერთ განყოფილებაში შტატის შესანახად იხარჯებოდა გასულს 20 პროც;) საქონელს იძენდნენ ძალიან მაღალ ფასებში და თვით კომისარიატის ორგანიები ადგილობრივად ხდებოდნენ, მომხსენებლის თქმით, პირდაპირ ამა თუ იმ აგენტის დუქნად.

გარეშე ვაჭრობის კომისარიატის ყველაზე უფრო მეტრძოლი აპარატი —სტამბოლის განყოფილება მოქმედებდა მტკიცე გეგმის და პროგრამის ფარგლებში; განყოფილება ვერ ღებულობდა კომისარიატისაგან აუცილებელ დირექტივებს და ხშირად ყიდულობდა იმას, რაც თვითონ მიაჩნდა საჭიროდ, არ იცოდა რა რესპუბლიკების ნამდვილი მოთხოვნილება. გაიდა ამასა სტამბოლში საგაჭრო ოპერაციები ზოგჯერ ტარდებოდა რატომღაც არა კომისარიატისაგან განყოფილების, არამედ „არკოს"-ის და სხვა ორგანიზაციების საშუალებით.

საგარეო ვაჭრობის ბათომის განყოფილება, რომელსაც დიდი მნიშვ-

ნელობა აქვს საქონლის ექსპორტის

ეექსპორტისადმი. კომისარიატი მიისწრაფებოდა ბაზრისკენ,

ისე რომ ყურადღებას არ აქცევდა ბაზარს; ამის შედეგი

ყოფ, რომ ეს

ეს ბაზარ-

ბაზ

ბ

ბ

ბ

საერთაშორისო საბჭოთა ფედერაციას და კომუნიზმს.

მიტინგის შემდეგ წითელმა ჯარმა და ადგილობრივმა „ჩონმა“ მიიღეს ფიცი, რის შემდეგაც მიტინგმა ცერემონიალურ მარშით შემოიარა მთელი ქალაქი. სიარულის შემდეგ სამხედრო აღმასკომმა გაუმართა სადილი წითელი ჯარის ნაწილებს. საღამოთი ყველა თეატრებში გაიმართა უფასო რევოლიუციონური წარმოდგენები მუშებისათვის.

გურჯაანის რაიონში. ამ რაიონში ორ ადგილას—ვილისციხეში და გურჯაანში იყო მოწყობილი მიტინგები, სადაც თავი მოიყარათ აუარებელ მშრომელებს, პროფორგანიზაციებს, პარტორგანიზაციებს, მოწაფეობას, წითელი დროშებით და საერთაშორისო სოც. რევოლიუციის გმირების სურათებით. მიტინგზე გამოვიდნენ ამხ. ჩეკურიშვილი, კოტე მართაშვილი და სერგო თარხანოვი, რომლებმაც აღნიშნეს ამ დიადი დღის მნიშვნელობა მშრომელებისათვის და აგრეთვე შეეხენ მომენტს. მიტინგის შემდეგ პარადმა შემოიარა უმთავრესი უბნები ლოფლებისა, რის შემდეგაც ის დაიშალა.

მაჩხაანის რაიონში ფართე მიტინგი გლეხობის, პროფორგანიზაციების, პარტორგანიზაციების, მოწაფეობის თანადასწრებით გაიმართა სოფ. ქვემო მაჩხაანში; ამხ. გიორგი მირიანაშვილმა და მეკურიშვილმა გააცნეს მიტინგს ამ დღის მნიშვნელობა საერთაშორისო მშრომელებისათვის, აღნიშნეს დღევანდელი მომენტი და გენუის კონფერენცია და სხვა. მიტინგმა მოისმინა მოხსენებები აღტაცებით და შემდეგ იგი მხიარულათ დაიშალა.

ქოდალოს რაიონში. მიუხედავათ იმისა, რომ ამ მაზრაში ყველაზე ჩამორჩენილია ეს რაიონი და მენშევიკებს თავიანთ ბატონობის დროს თითქმის არასოდეს არ ჩაუტარებიათ აქ არავითარი დღესასწაული, 1 მაისის დღესასწაულმა აქ ჩაიარა შესანიშნავათ.

მოწყობილ იქნა ორ ადგილას მიტინგი: კაკაბეთში და კაჭრეთში, სადაც დაესწრნენ აუარებელი გლეხები პროფორგანიზაციები, პარტორგანიზაციები და მოწაფეები წითელი დროშებით და რევოლიუციის გმირების სურათებით.

მიტინგებზე მოხსენება გააკეთეს ამხ. ვანო ბაბალაშვილმა, ალექს. ჯანჯიევმა და საშა ჩერედჩენკო, რომლებმაც გააცნეს მიტინგი 1 მაისის მნიშვნელობას.

ლაგოდეხის რაიონში. ამ რაიონში ას ადგილას. ლაგოდეხში და მაისუბანში იქნა ჩატარებული ფართე მიტინგი, რომლებსაც დაესწრნენ გლეხები, პროფორგანიზაციები, პარტორგანიზაციები, მოწაფეები და № პოლკის ნაწილები წითელი დროშებით და რევ. გმირების სურათებით.

მიტინგებზე გამოვიდნენ ამხ. ნიკოლაი ალპეტოვი, ნიკოლაიშვილი და წითელი ჯარის სამხედრო კომისარი, რომლებმაც გააცნეს მიტინგს ამ დღის მნიშვნელობა და დაახასიათეს აგრეთვე მომენტი. მიტინგის შემდეგ პარადმა ცერემონიალურ მარშით შემოიარა ახლო მდებარე სოფლები და შემდეგ იგი მხიარულათ დაიშალა.

შირაქის რაიონში. ფართე მიტინგი გაიმართა წითელ-წყალოებში, რაზედაც დაესწრნენ აუარებელი მშრომელები, პროფორგანიზაციები, პარტორგანიზაციები, მოწაფეობა და წითელი ჯარის ნაწილები, წითელი დროშებით და რევოლ. გმირების სურათებით.

მიტინგზე ილაპარაკეს ქართულ და რუსულ ენებზე ამხ. ალექსანიევმა, ლაგაზიძემ, წითელ ჯარების წარმომადგენელმა, რომლებმაც გააცნეს მიტინგს 1 მაისის დღესასწაული.

გენუას კონფერენცია და დღევანდელ მდგომარეობა. მიტინგის შემდეგ პარადმა შემოიარა თითქმის მთელი რაიონი, შეიარა ფრიად ჩამორჩენილი კუთხე ზემო და ქვემო ქედში, სადაც აგრეთვე მოაწყვეს მიტინგი.

საერთოთ 1 მაისის დღესასწაულმა მთელ მაზრაში ჩაიარა შესანიშნავათ, ყველგან მიტინგებს ქონდა საზეიმო ხასიათი და ყველა მიტინგზედ გამოტანილი იქნა დაახლოებით რეზოლიუცია, როგორც ზემოთ მოვიყვანეთ

მ. ვარამაშვილი.

პროვინცია

ზემო ხეთის თემი (გურია).

ზემო ხეთის თემში მოსავალი ყოველთვის მცირე მოდიოდა. ამის მიზეზი არის მთაგორიანი, გამოფიტული მიწები. ზემოხეთელები სიმინდს იძენდნენ მეზობელ თემებიდან. მაგრამ გასული წლის სტიქიურმა უბედურებამ დაამშია მეზობელი თემებიც. ზემო ხეთელებს სიმინდის საშოვნელად უხდებათ შორს წასვლა. ვისაც მოეპოვებოდა რაიმე საქონელი, უკვე გაიყვანეს დასავლეთ გურიაში, რომელიც მოშორებულია 80 ვერსის მანძილით და გადაცვალეს სიმინდში. კვირაობით უხდებოდათ გზაში დარჩენა სიმინდის შეძენის იროს. ის გარემოება რა თქმა უნდა, ეესვას ძალიან უშლის ხელს.

აღსანიშნავია, რომ ზემოხეთის თემში, რაც სავარგისი ხარები და ცხენები იყო, უკვე გაყვანილია სიმინდზე გადასაცვლელად; ვისაც საქონელი არ ყავდათ, ზოგ ალაგას კი სახლებიც გაყიდეს. ერთად ერთი იმედი აქვს ეხლა საზოგადოებას თავიანთის დახმარებისა სიმინდით. რომ მუდმივი ხასიათი არ ჰქონდეს სიმშილობას, საჭიროა ზემო ხეთის თემს ექნეს კარგი გზა და ტრანსპორტი, ვინაიდან ამ თემში ბლომათაა ბაღოსნობა და მევენახეობა: ღვინო, თბილი, ნიგვზის კაკალი, ბლები, მსხალი, ვაშლი, ჩაი და სხვა. მაგრამ უგზოობის გამო მცხოვრებლებს საშუალება არა აქვთ ეს ნაწარმოები გაიტანონ ბაზარზე. ადგილობრივ მთავრობას გზების გასაყვანად მუშაობა დაწყებული აქვს და საქმე კარგად წავა, თუ ერთსულოვნებას გამოიჩენენ საჭამიასერის და კოხნარის თემები. გზები უკვე გაგეგმულია ზემო ხეთის თემიდან საჭამიასერის და კოხნარის თემის ხაზით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალში, თუ ამასთან გაიჩენენ სამივე თემები სატრანსპორტო საშუალებათ. ამ მუშაობაში დიდი ენერგია მიუძღვის ზემოხეთის აღმასკომის თ—რეს ამხ. ალექ. კოტრიკაძეს. იმედია ამ დიად საზოგადოებრივ საკეთილდღეო საქმეს ხელს შეუწყობენ და დაამთავრებენ როგორც ზემო ხეთის, ისე საჭამიასერის და კოხნარის თემები.

ახალგაზრდა „კომუნისტი“.

ბიბლიოგრაფია

ალ. მიქაბერიძე. ტროადის ომი. საბერძნეთის მითოლოგიიდან. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი 1921 წ.

ჩვენის თანამედროვე ქართული მწერლობის ყველაზე საგრძნობი ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს ის საწყუბარო ფაქტი, რომ მასში არ მოიპოვება დიდ მწერალთა, ანუ, ესე ვსთქვათ, მსოფლიო გენიოსთა ქმნილებების თარგმანები. გადათარგმნა კი არა და, სულ უბრალო გადმოღება-გადმოკეთებაც კი ისეთი ზოგად კაცობრიული მნიშვნელობის ნაწარმოებთა, როგორიცაა: ჰომეროსის ილიადა და ოდესეია, დღეიდის მხოლოდ დეზიდერატად ითვლებოდა, მაშინ, როდესაც ეს ორი ხალხის გენიის ქმნილება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, როგორც სინამდვილის ჭეშმარიტი მხატვარი, როგორც მთელი კაცობრიობისა და მთელი მსოფლიოს ბუნებრივი არსებობის და საერთოდ კაცობრიობის ფსიქოლოგიური ცხოვრების ჭეშმარიტი სარკე.

მაგრამ დღეს ეს დეზიდერატი უკვე სისრულეში მოდის, და ამის თავდებია ამ ჟამად უკვე გამოცემული „ტროადის ომი“—მაზრდილი წიგნი 274 გვერდამდე, რომელიც წარმოადგენს ტროადასთან დაკავშირებული მითების, ზღაპრებისა და ბერძნეთა უკვდავი ეპოპეის—ილიადა და ოდისეიას ჩონჩხზე აკინძული მთავარი ეპიზოდების ლამაზი ენით მოთხრობა დალაგებას. ამ ძვირფასის წიგნის შემდგენილი არის კარგად ცნობილი დამსახურებული პედაგოგი და ზოგადი მოღვაწე ა. მიქაბერიძე. საკმაოა იმის თქმაც, რომ ამხ. მიქაბერიძე სპეციალობით ფილოსოფოსია, და დიდად ნამუშაკები და, მაშასადამე, საკმაოდ დახელოვნებულიც. ამგვარი შინაარსის ნაწარმოებთა გადმოღება-გადმოკეთებაში. ყველას, ვინც კი თვალყურს ადევნებდა, და ვისაც კი აინტერესებდა ჩვენი საზოგადოებრივი წინსვლის საქმე, უნახავს და ეხსომება მისი მთელი წყება წერილები, ამ ჩვენთვის საინტერესო დარგში, რომლებსაც ავტორი ათავსებდა ჟურნ. ნაკადულისა და ჯეჯილის ფურცლებზე, მრავალ წელთა განმავლობაში, ა „ყუმბარა“ ფსევდონიმით. ყველა ამ წერილთა საგანი იყო ისევ და ისევ ძველ კლასიკურ მწერალთა გადმოღება გადმოკეთება. გარდა დასახელებული ნაშრომისა მის კალამს ეკუთვნის შვენიერი ენით გადმოღებული ოვიდიუსის რჩეული მეტამორფოზების მოზარდი თაობისათვის გამომუშავება. და აგრეთვე გერმანული და პოლონური ენებიდან საყმაწვილო მოთხრობების გადმოღება. ნათქვამია, რომ თუ კაცს საქმე უყვარს და შესაფერი უნარი აქვს, თავის სამუშაო საქმეს ყოველთვის ბრწყინვალეთ დააგვირგვინებს, —და ამ შემთხვევაშიაც ამხ. ალ. მიქაბერიძეს ჩინებულად დაუძღვია ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება და ხელს უშლის დღევანდელ საზოგადო მოღვაწეს დღევანდელს აუტანელ მდგომარეობაში, —და მიუძღვნია საზოგადოებისათვის ეს უძვირფასესი საჩუქარი. დიდი ინტერესით იკითხება ეს 274 გვერდიანი წიგნი, სადაც იწვიათის სიმეტრიით არის შეწყობილი „ილიადი“-გარშემო შექმნილი მთელი ბერძენთა ეპოპეია ილიონის წარმოშობითგან და ოქროს ვაშლის ამბითგან დაწყებული თვით ილიონის დანხობამდე.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ავტორს მზადა აქვს და მალეც შეუდგება მეორე წიგნის სტამბვასაც, რომლის საგანი იქნება ოდისევსის სამშობლოში დაბრუნება.

ვუსურვებთ ამხ. ალ. მიქაბერიძეს სისრულეში მოიყვანოს ეს მიზანი და შეეძლოს ის საგრძნობი ნაკლი, რომელიც ასე ძლიერ ატყვია ჩვენს ნწერლობას.

ი. აბულაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 4.

საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

— კერძო მფლობელობის სახლებში საცხოვრებელი სადგომების შესახებ.

1. საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკაში სახლის მეპატრონეობა მფლობელობაში, სარგებლობაში და განკარგულებაშია, ყველა სახლი გარდა მუნიციპალიზაცია ქმნილი და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული სახლებისა.

2. სახლის მეპატრონე ვალდებულია განაგოს სახლი პირადათ ან განსაკუთრებული რწმუნებული პირის მეშვეობით, აწარმოვოს საჭირო რემონტი და სისრულეში მოიყვანოს ადგილობრივ ხელისუფლების ყველა განკარგულება, როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრატიული ხასიათისა.

3. სახლის მეპატრონეს უფლება აქვს განაცხვისოს სახლი ყოველგვარი სახით, გასცეს იჯარით და გაქირაოს ბინა.

4 ყველა, ვისაც სადგომი უჭირავს კერძო პირი, საზოგადოება თუ საბჭოთა დაწესებულება, ვალდებულია დააკმაყოფილოს სახლის მეპატრონე ბინის ქირით.

5. მდგმურები ბინის ქირის გადახდის მხრივ განიყოფებიან ორ კატეგორიათ:

1 **კატეგორია:** ა) ყველა ვინც საცხოვრებით დაკავებულ შრომის უნარი ან სამხედრო ფრონტზე და იმყოფება სოციალურ უზრუნველყოფაზე; ბ) უმუშევარნი, რომელნიც იმყოფებიან რა აღნუსხვაზე, სარგებლობენ სოციალური დაზღვევის უფლებით; გ) წითელ არმიელნი და სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა მოსამსახურენი, უკეთუ ისინი პროფესიონალური კავშირის წევრებია და არა აქვთ სხვა, არა შრომით მოპოებული შემოსავალი; დ) მოსწავლენი, რომელნიც ცხოვრობენ დამოუკიდებლად,—არა მშობლებთან.

2. **კატეგორია:** ყველა დანარჩენი მოქალაქენი.

6. დადგენილება 1 კატეგორიის პირთათვის საცხოვრებელ სადგომის ქირის რაოდენობისა, იმ საბინაო ფონდისა, რომელიც აღებულ უნდა იქნეს აღნუსხვაზე, და აღნუსხვაზე აღებულ ოთახების სარგებლობის წესის შესახებ საქართველოს სხვადასხვა ადგილას—გამოცემული უნდა იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საჭიროებისამებრ.

7. აღნუსხვაზე აღებულ ოთახებისათვის მეპატრონე მიღებს ქირას მდგმურებისაგან.

8. ორივე კატეგორიის პირი გადაიხდის ბინის ქირას მთელი სასარგებლო სივრცისათვის, რაც მას უჭირავს ან იმ ოჯახს, რომელსაც იგი ინახავს.

9. პირველი კატეგორიის პირი დაჭერილ სადგომისათვის გადაიხდის ქირას განაკუთრებული ტარიფით.

10. ყველა დანარჩენი მოქალაქენი გადაიხდიან ბინის ქირას სახლის მეპატრონესთან შეთანხმებით.

11. პირველი კატეგორიის პირმა მიმდინარე თვის ბინის ქირა უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს ამ თვის გასვლისა, ხოლო მეორე კატეგორიის პირმა ყოველთვიურად წინდაწინ, უკეთუ ამ უკანასკნელსა და სახლის მეპატრონეს შორის ამ საგანზე რაიმე სხვა შეთანხმება არ მოხდება.

12. მდგმურის გამოსახლება შეიძლება მხოლოდ სახალხო სასამართლოს დადგენილებით.

შენიშვნა 1: პირველი კატეგორიის პირი ბინის ქირის გადაუხდელობისათვის შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სახალხო სასამართლოს დადგენილებით წინა მუხლში აღნიშნულ ვადაზე, უკეთუ ბინის ქირის გადაუხდელობა გამოწვეული არ არის სამსახურში ჯავრისის თავის დროზე მიუღებლობისა ან სხვა საპატიო მიზეზით.

შენიშვნა 2: უკეთუ სახლის მეპატრონე და მეორე კატეგორიის მდგმური, რომელიც უკვე სცხოვრობს სახლში, ვერ შეთანხმდნენ ბინის ქირის განსაზღვრავს სახალხო სასამართლო ყველა გარემოებათა მხედვით, ხოლო ქირის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უწყებული რაიონის სათანადო სადგომის ომამდე არსებულ ქირას (ბონებზე გადატანით).

13. ამა დეკრეტის გამოქვეყნებისას ძალას ჰკარგავს ამ საკანზე წინად გამოცემული ყველა დეკრეტი და დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 15.

თბილისი—სასახლე.

ბრძანება № 10.

ხ. ს. ხ. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულს სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა შემჭიდროებელი „ხუთთა“ საუწყებათაშორისო კომისიას, რომელიც დაარსებული იყო თანახმად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის 14 ივლისის 44 № დადგენილებისა და რომელშიაც შედიოდენ წარმომადგენლები:

1) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან (თავმჯდომარე)

2) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატიდან

3) ქ. თბილისის რევოლიუციონური კომიტეტიდან,

4) საქართველოს არმიიდან

და 5) კავკასიის ცალკე არმიიდან, —ევალება ჩემ მიერ დაუყონებლივ, ამ ბრძანების გამოქვეყნებისთანავე, შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

1) დაწესებულებებში მოსამსახურეთა შტატების შემცირების გამო ხელმეორეთ გასინჯოს ყველა დაწესებულებანი და მოახდინოს მათი შემჭიდროება სათანადო ოქმის შედგენით. ამგვარად განთავისუფლებული შენობები ბინები და ოთახები გადასცეს ქ. თბილისის აღმასკომის საბინაო სექციას, ხოლო შემჭიდროების მოხდენის შესახებ ოქმები და ცნობები შინაგან სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილებას.

2) ინსტრუქციებს მიცემა და საზოგადო ხელმძღვანელობა ევალება კომუნალურ განყოფილების გამგეს.

3) ა) შემჭიდროება უნდა სწარმოებდეს საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ დაწესებულებებში, რომელთაც კანცელიარული ხასიათი აქვს იმ ანგარიშით, რომ თითო თანამშრომელზე, რომელიც დაწესებულებაში ფაქტიურად მუშაობს მოდიოდეს თითო კვადრატიული საჟენი, ამასთან მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს კანცელარიის თანამშრომელი აგენტები, კურიერი, ოთახების მომვლელნი და სხვა ანგარიშში არ შედიან). ყოველ განყოფილებაში ერთ კაბინეტზე მეტი არ უნდა იყვეს გარდა იმ განსაკუთრებულ შემთხვევისა, როდესაც გამოიტანს თავის დადგენილებას შემჭიდროებელი კომისია.

ბ) შემჭიდროება დაწესებულებებისა უნდა ხდებოდეს წინ და წინვე შედგენილ სიებით და მოსაზრებანით იმ გვარათ, რომ შესაძლო იყოს განთავისუფლდეს მთელი საბინაო ერთეულები: რამოდენიმე ბინიდან, რომელიც დაწესებულებას უჭირავს, რომ განთავისუფლდეს მოლად ერთი ან რამოდენიმე ბინა, რომ რამოდენიმე სახლიდან განთავისუფლდეს ერთი ან რამოდენიმე სახლი.

4) დადგენილება საუწყებათაშორისო შემჭიდროებელ ხუთთა კომისიისა დაწესებულებათა შემჭიდროებისა ან მათი თბილისიდან გადატანის შესახებ ითვლება საბოლოოდ და აუცილებლივ უნდა იყოს სისრულეში მოყვანილი, თუნდაც იგი იყოს გასაჩივრებული.

5) ცენტრალური საბინაო განყოფილება მოვალეა თავის მუშაობა შეუთანხმოს ხუთთა კომისიას პარალელიზმის თავიდან ასაშორებლად.

6) საბჭოთა დაწესებულებების ბინათა დათვალიერება მათ შესამჭიდროებლად ან თბილისიდან გადასატანად ექვემდებარება მხოლოდ და მარტოდ ხუთთა კომისიას.

7) არც ერთ დაწესებულებას არა აქვს უფლება ბინის გამოცვლისა ან გაფართოებისა ხუთთა კომისიის ნებადაურთველად.

8) ყველა დაწესებულება, რომელიც აპირებს მოქმედების შეწყვეტას ან თბილისიდან გასვლას მოვალეა შეატყობინოს ამის შესახებ ხუთთა კომისიას.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

კომუნალურ განყოფილების
გამგე **ა. სიდამონიშვილი**

დადგენილება № 13.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1922 წ. მაისის 9.

განათლების და ხელოვნების მუშაკთა აღრიცხვისა და განაწილების სექციების გაერთიანების შესახებ.

შრომის სახალხო კომისარიატმა განათლების სახალხო კომისარიატთან და განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, დაადგინა:

1. ხელოვნებისა და განათლების მუშაკთა კავშირების გაერთიანების გამო, გაერთიანდეს შრომის სახალხო კომისარიატისა და მის ადგილობრივ ორგანოებთან არსებული სექციები ხელოვნებისა და განათლების მუშაკებისა და ეწოდოს მას განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა სექციები.

2. დაეკვალოს ამ სექციას განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა აღრიცხვა და განაწილება.

3. შრომის ადგილობრივ განყოფილებებთან განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა სექციები უნდა მოეწყვენ და იმოქმედონ თანახმად 1921 წლის აპრილის თარიღით გამოქვეყნებულ დებულებისა: „შრომის განყოფილებებთან ხელოვნების მუშაკთა სექციების მოწყობის შესახებ“.

4. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების ხელში რჩება ცენტრსა და ადგილობრივ აღრიცხვა-გადანაწილება იმ პასუხისმგებელ და ადმინისტრატიულ მომუშავეებისა, რომელიც განათლების სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში ეწევიან შრომას. ამის გარდა განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოებს ცენტრსა და ადგილობრივ რჩებათ უფლება დამოუკიდებლად მოწვევისა განათლების მუშაკთა ქვემოდ დასახელებულ კატეგორიებისა: ლექტორები, სწავლულების, მდივნების, მეცნიერ თანამშრომლების, სწავლული კონსულტანტების, რეტორების, პროფესორების და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების, აგრეთვე ხელოვნების უმაღლეს კვალიფიკაციის მუშაკებისა; ამ უმაღლეს კვალიფიკაციას აწესებენ შრომის სახალხო კომისარიატი და განათლებისა და ხელოვნების კავშირის ცენტრალური კომიტეტი. აღნიშნულ კატეგორიებს მომუშავეთა რეგისტრაცია ხდება შრომის განყოფილებებში და სამსახურში ჩარიცხვის შემდეგ ისინი თავისუფლდებიან შრომის განყოფილებებში პირადად გამოცხადებისაგან.

5. განათლებისა და ხელოვნების ისეთი მომუშავენი, რომელნიც მე-4 ე მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიებს არ ეკუთვნიან და რომელნიც შრომის განყოფილებასთან არსებულ სექციის გაუგებრად აღმოჩნდებიან მიღებულნი, დაწესებულებისა და წარმოებებში, მოხსნილ უნდა იქმნან სამუშაოდან, ხოლო დაწესებულება-წარმოების პასუხისმგებელი პირნი მიცემულ უნდა იქმნან სასამართლოს პასუხისგებაში

6. სექციის გამგებლობას, როგორც ცენტრსა, ისე ადგილობრივს, ევალება განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა გაერთიანებულ კავშირის წარმომადგენლებს: ამ წარმომადგენლებს იქნევს განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა კავშირის ადგილობრივი გამგეობა.

7. ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან უქმდება განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა აღრიცხვისა და განაწილების სექციისთვის დღემდე არსებული პარალელური ორგანოები.

8. განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა სექცია უნდა მოქმედებდეს განათლების სახალხო კომისარიატის შესაფერ ორგანოებთან შეთანხმებით და ამ ორგანოების გეგმების თანახმად აწარმოებდეს მომუშავეთა განაწილებას.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **მიქაძე**

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი აცხადებს ყველა იაჩეიკების მდივნებისა საყურადღებოთ, რომ ოთხშაბათს 17 მაისს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში გაიმართება საერთო სარაიონო კრება კომპარტიისა და კომუნისტური ახალგაზდობის კავშირის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება საერთო საქალაქო პარტიულ კონფერენციის შესახებ, 2) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პასუხ. სმგებელი მდივანი **ა. კევორკიანი**

ხარაზიანის ტიპოგრ.

განცხადება

მიწად-მოქმედების კომისარიატის მიწათ-მოწყობის განყოფილება

საყურადღებოდ ყველა მესაქონლეებისა, რომელნიც სარგებლობენ საძოვრებით, ამით აცხადებს, რომ მიმდინარე 1922 წლიდან არის დაწესებული ფული გადასახადი საძოვრებზე, მიხედვით კატეგორიისა და სივრცისა საძოვრის ნაკვეთში სასარგებლო მიწისა შემდეგის ანგარიშით: ერთი დესეტინა ზაფხულის საძოვრისა—პირველი ხარისხისა 75 000 მან.,—მეორე ხარისხისა 50.000 მანეთი და მესამე—30 000 მანეთი.

ფული უნდა იყოს შემოტანილი მიწათ მოწყობის საძოვრების ქვე განყოფილებაში, ან მის აგენტებს (სასამართლოს ქუჩა, № 32) მაისის თვის განმავლობაში. ფულის გადამხდელს მიეცემა მანდატი საძოვრებით ხელშეუხებელ სარგებლობაზე.

(3—1)

სატრანსპორტო-საექსპედიციო-საკომისიო პანტორა (ს. მ. უ. ს. „ცენტროტრამოტ“)

თავისუფლების მოედანი (ერევნის მოედ.) ქარვასლა ყოფ. თამამშევისა.

აცხადებს ქალ. თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 6 მაისიდან იხსნება ავტომობილების რეგულიარული საშგზავრო და საბარგო მიმოსვლა **თბილის კოჯორ-მანგლისს** შორის და **თბილისსა** და **დუშეთს** შორის.

ავტომობილების გასვლის დროს, გადაყვანის და ბარგის გადატანის ღირებულების შესახებ გაგება შეიძლება აღნიშნულ კანტორაში.

ავტომობილების გასვლა თავისუფლების მოედნიდან (ერევნის მოედ).

(4—3)

თბილისის რკინის გზის კვანძის სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება („უჩტპო“)

იყიდება საზოგადოების წევრებზე

ფხვნილი შაქარი	15,000	(სამი გირვანქა
რაფინადი	18,000	(წიგნაკზე
თეთრი ლობიო	5,000	(ხუთი მ. წიგნაკზე
დანაყილი მარილი	650 მ. 10 გ.	„ „
„სელდები“	3 000 მ. 10 გ.	„ „
პური (შავი)	8 000 მ. 3 გ.	„ „
თეთრი	10.000 მ.	„ „ „
ხორბალი ვლადიკავ	8.000 მ. 5 გ.	„ „
კართოფილი	4000 მ. 10 გ.	„ „
ქიშმიში	12.000 მ. 3 გ.	„ „
ჭერამი	10.000 მ. 3 გ.	„ „

ნიგოზი, თხილი, ჩაი სხვა და სხვა ფირმის, საპონი, ჭურჭლეულობა ყოველ გვარი, ძეხვეულობა ხილის და ნწვენილის კონსერვები (საკუთარი ქარხნის), ფართლეულობა, ჩითები, გილზები და სხვა.

საზოგადოების დუქნებში № 1. ვაგზლის ქ № 3.

„ „ № 2. პლეხანოვის პროსპექტი კრილოვის ბაღის კუთხე.

„ „ № 3. იურევის ქუჩა № 44.

„ „ № 4. ანდრეევის ქუჩა № 113

„ „ —ვაგზლის ქ. № 5.

ახლო მომავალში გაიხსნება დუქნები **პლეხანოვის პროსპ № 138, ჩერჩილის ქ.** ბოტეს სახლში (ვაგზლის იქით) და **ნავთლულის** სადგურზე.

(2—1)

საჯარო ვაჭრობა

ქ. თბილისის აღმასკომის საადგილ მამულო განყოფილება ნიშნავს საჯარო ვაჭრობას ამა წლის 18 მაისს დილის 10 საათზე, საკუთარ მამულში (ყოფილ მანთაშევის—ორთაჭალაში ვარანცოვის ქ. № 125), ხეხილის მოსავლის (ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ჭერამი და ქლიავი) გასაყიდათ დაახლოებით 1000 ძირამდე.

პირობების გაგება დაწვრილებით შეიძლება საადგილ მამულო განყოფილებაში ოთახი № 52 აგრეთვე თვით მანთაშევის მამულში ორთაჭალაში მამულების გამგესთან.

საადგილ-მამულო განყოფილება.

(2—1)

შაგიამანს

უმაღლესი ხარისხისას მოგვაწოდებს

ნარდად და თავ წვრილად ქიმიური საწარმოვო დაწესებულება „ატომი“ ელისაბედის ქუჩა, 204.

(2—1)

განცხადება

ხუთშაბათს, 18 მაისს 1-ლ საბჭ თა სახლში გაიხსნება თბილისის მაზრის უპარტიო ქალთა 1 ლი

კონფერენცია

დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) საბჭოთა ხელისუფლება და ქალთა განთავისუფლება, 3) მოხსენება ამიერ-კავკასიის უპარტიო ქალთა კრების მაზრაზე, 4) დელეგატების არჩევნები ამიერ კავკასიის კრებაზე.

თბილისის მაზრის ქალთა განყ. გამგე: **ფ. ადამიძე.**

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე

აცხადებს, რომ მას ამა წლის 24 მარტის დადგენილებით შესრულებულად დამტკიცებულია გარდაცვალებულ ლუკიან სტანისლავოვის ძე კოხანოვის ანდერძი შედგენილი ქ. თბილისის ნოტარიუს ფეოდოროვთან 24 ივლ. 1901 წლის რეესტრით № 4321.

სახალხო მოსამართლე **მარ. ჩხეიძე.**

(1—1)

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მეემკვიდრეებს გარდაცვალებულ 24 მარტს 1921 წ. ალი ასკერ სულ ოღლის დარჩენილ ქონებაზე, რათა მათ გამოაცხადონ თავიანთი ფლება აღნიშნულ ქონებაზე ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

სახალხო მოსამართლე: **მ. კობიაშვილი.**

(1—1)

დაიკარგა

სარეგისტრაციო მარათი, მიცემული დავით სერგეის ძის ოსეფ სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)